XXIV № 9 XXIV

სექტემბერი, 1913 წ.

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I შინაურები! სურათი. 466
II ბიჭუკელა. ლექსი შიო მდივანელისა. 467
III ომი წაგებულია! (თარგმანი) კატო თაქთაქიშვილისა. 469
IV ბოსტანა (ბიკოვიდან). ტასიოსი 473
V სპილოს დღიურიდან (დასასრული). ანიკოსი . . 477
VI ყურძნის ქურდი. ამბავი ფ. სირაძისა 484
VII პატარა ტარიელი, ზღაპარი (გაგრძელება) ალ. ნათაძისა 488
VIII წვრილმანი: გამოცანები, ხალხური, ენსტიხოზი და სხვა. 494

IX დილა. ლექსი გელასი 496
X ვანო, როგორ სწავლობს გაკვეთილს. სცენა სოფლის ცხოვრებიდან. ნინა გოგნიაშვილისა. . . 497
XI უცნაური მესტვირე (თარგმანი) ან. წერეთლისა . 502
XII მეცნიერების ერთი მსხვერპლთაგანი. სკოტის მოგზაურობა. იტა ნაკაშიძისა 512
XIII მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან—ილ. ალხაზიშვილისა.. . . . 521
XVI ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა (თომა ალვა ედისონი). შემდეგი 524

ჯეჯილის **1913** წლის ხელის მომწერლებს

ვისაც ჟურნალის ფასი გადახდილი აქვთ

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

ჩვენი მეგობრები

ჯეჯილის რედაქციაში ისყიდება ასლათ დაბეჭდილი

მცენარეები და ცხოველები

ცხელი ქვეყნებისა. (დასურათებული)

ფასი 35 კაპ.

1879

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაოს..
ი. ტ.

სექტემბერი, 1913 წ.

✦ წელიწადი მეოცდაოთხე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1913

შინაურები.

ბიჭუკელა



ატარა ბიჭუკელას,
დედ-მამის ნებიერსა,
ცქვიტსა, მალსაზს, ჭიკჭიკას,
ბუნებით მშვენიერსა,
დაენასა, რომ მამა
ხან ღამით, ხან დილითა,
უფრო-კი საღილის დროს
ეარეარა ჭინჭილითა,
რაღაც ალისფერ სასმელს
ტკბილათ არაკრაკებდა;
„დაგელოცოს მადლიო“!
სულ ამ სიტყვით აქებდა.
იფიქრა: მამაჩემი,
ღმერთი, რჯული, გამჩენი,
ასე ტკბილათ რომა სვამს,
იქნება თაფლის წვენი.
ერთ დილას, დედის ჩუმათ
ჭინჭილას მიეპარა,
აიღო და ნუნუა
პირში ჩაიკარკარა.
ეელს არცა-კი ჩასცდენოდა,
ტანში გააჟრიალა

147

და დიდის გამწარებით
ასე დაიღრიალა:
ნეტავ გამაგებინა,
როგორა სვამს ამასო!
საუვედურით ავიკლებ
საღამოზედ მამასო...
დაიბნიდა საბრალო,
თავი დაუტრიალდა
და მუხლში მოკვეთილი
იქვე გაკოტრიალდა.

შიო მღვიმელი.

ომი წაგებულია!

მერთო რა უბედურობაა, ეოველ დღე საძაგელი წვენი და წვენი! უქმე დღესაც კი მაგ საზიზღარი საჭმლით გვამწარებენ. სადილ წინ ვძღებით ტკბილეულობით, გემრიელათ გადავულაპავთ ხოლმე თითო ვაშლს მაინც და მერე სადილზე ჩაგვაცივდებიან: გინდათ თუ არა უთუოდ წვენი უნდა შესვრიტოვო, მარგებელია! აბა ერთი მითხარით რა სასიამოვნო იქნება. რაღა თევზის ქონი ან საფაღარათო ზეთი და რაღა ვერმიშელის წვენი. მერე მოგვაძახებენ:

თუ არ სჭამე ვერმიშელი,
გაკტეპენ და ვერ გიშველი...

ასე შესჩიოდენ ერთმანერთსა ჰატარა და-ძმანი, სოსო და ქეთო. ამათ ორივეს ეჯავრებო-

— უჰ! შეჰკივლა შეშინებულმა სალომეم და მა-თლაფები ხელიდან გაუვარდა.

ბავშვებმა გადისარსარეს და სიამოვნებით მოჰყე-ვენ სირბილს და ტრიალს დაქცეულ წვენთან.

— აი თქვე ანცებო, გიჟებო, მოუსვენრებო! და-მაცადეთ, გიჩვენებთ სეირს, დაემუქრა სალომე და გამოეკიდა სოსოს.

მაგრამ სოსო მარჯვეთ გაუსხლტდა ხელიდან, ჯერ მაგიდის ქვეშ შეძვრა, მერე იქიდან, რომ უფრო უშიშრათ ეოფილიეო, დიდ საკარძლის ქვეშ შეცოცდა და ისე მოიკუნჭა, რომ ვერა ეშმაკი ვერ მიუდგე-ბოდა.

— სადღაა წვენი? ფიქრობს სოსო,—მართალია დედა გაგვიწურება, მაგრამ ამ ერთს დღეს მაინც ხომ ავიცილეთ თავიდან ეგ საძაგელი წვენი.

* *
*

გავიდა ნახევარი საათი. ეველგან სრული სიჩუ-მეა. საშიში აღარაფერი უნდა იყოს! სოსო გამოძვრა საკარძელის ქვეშიდან, შევიდა თავის ოთახში, აიღო წიგნი და დიდი ადამიანისათვით დაიწყო კითხვა. მა-გრამ აგერ ისევ სალომეს ფეხის ხმა შემოესმა.

— ჰოო... სალომეს ჩვენთვის ახლა ალბათ შემ-წვარი ქათაბი მოაქვს და ტკბილეულობა. ამას კი დიდი სიამოვნებით გიახლებით, საძაგელი წვენი დღეს ხომ არ გვექნება!

მართლაც სალომე გაივლის საჭმელით ხელში.

— თქვენ ეი, ცულლუტებო, მოდით ისადილეთ. დამაცადეთ, როგორ დაგაბეზღოთ დედასთან!

სოსო და ქეთო მსიარულათ შევიდენ სასადილო ოთახში. მაგრამ დახვეთ ამათ მწუხარებას, როდესაც ახადეს თეფშებს (საინებს) სახურავი; შემწვარის და ტკბილეულობის მაგივრათ დაინახეს რაღაც ოშხივარი.

— სალომე, ეს რა მოგვიტანე? აკანკალებული ხმით ეკითხება სოსო.

— რა არის და წვენი რომ დამაქცევინეთ, მის მაგივრათ შილაფლავი მოგისარშეთ. აბა, სჭამეთ მალე.

— ოოხ ღმერთო, ეს რა სასჯელია! რათ გვინდა ეგ საძაგელი შილაფლავი. ვერმიშლის წვენი, — მაინც მაგას ეჯობინება.

— სჭამეთ, სჭამეთ, ბევრს ნუ ლაპარაკობთ. დედას ეველაფერს ვუამბობ და ის გაგირიგებსთ საქმეს.

ომი წაგებულია. წვენმა აჯობა: თევზის ქონს, ზეთს და შილაფლავს — ისევ წვენი სჯობიაო, ფიქრობდენ ემაწვილები.

კატო თაქთაქიშვილი.

(თარგმანი).

ბოსტანა*)

ინას და სანდროს ძალიან უყვარ-
დათ თავიანთი ხელით გაკეთებუ-
ლი ჰატარა ბოსტნი, რომელიც
მათ გამართეს დიდ ბოსტანის კუთხეში,
სწორეთ იმ ადგილას, საცა შარშან ეეა-
რათ ბევრი ჰატივი (სასუქი).

უმაწვილებმა შემოდგომაზე დიდი ამბით
მოამზადეს ადგილი და გაზაფხულზე კიკო მებაღის
დახმარებით გადააბრუნეს მიწა და ათი ჰატარა კვა-
ლი გააკეთეს. ბოსტნეულობა ძშვენიერი მოუვი-
დათ: სტაფილო, საღლათა, ცერკვი, თალგამი, ოხრო-
ხეშა და სხვ... უმაწვილები მეტის ხალისით კიტრს
უვლიდნენ. ჯერ დათესილი ჭქონდათ ეუთში და თა-
ვიანთ ფანჯრებთან ახლოს ინახავდენ და ღამ-ღა-
მობით ეუთს ზემოდან ხურავდენ, რომ ახლათ ამოა-
სული ფოთლები არ გაფუჭებულიეო. კიტრი როდესაც
გადიარა დილაობით სუსხმა უმაწვილებმა გადარგეს
ადრევე მომზადებულ კვლებში. აძინდი საუცხოვო იდგა

*) ამ მწერს იმერეთში და გურიაში ჭირყვალას და მახ-
რას ეძახიან.

და თინას და სანდროს ადრევე უსარდოდათ, რომ ბევრი კიტრები მოუვათ. დიდ ბოსტანში კი დედამ მსოლოთ ახლა დაათესინაა კიტრი. „ჩვენ უფრო ადრე მოგვივაო, ამბობდენ ბავშვები“. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდა უმაწვილების სიხარული.

ერთ კვირასაც არ გაუვლია მას აქეთ, რაც გადარგეს კიტრები, რომ თინამ შეამჩნია—კიტრის ფოთლებს სიყვითლე და დაჭკნობა. უმაწვილები შეწუხდენ: ვაი თუ კარგათ ვერ გადავრგითო და გაიქცენ მებაღესთან საკითხავათ. მებაღემ დახედა, თავი გადიქნ-გადმოიქნია და თქვა: ცუდათ არის, უმაწვილებო, საქმე, უსათუოდ ბოსტანა მწერი (ჭირუვალა) შემოგეჩვეოდათ. მერე ვინ იცის მარტო ერთიც არ იყოს. მოდი მოვნახოთ მისი ხვრელი, თორემ კიტრებს მთლათ შეგიჭამსთ და არც სხვა ბოსტნეულობას ხეირს დააურის. კიკომ მოიკალათა კვალებთან, ყურადღებით დაუწყო თვალიერება და ზოგ ადგილას ზედა ჰირი მიწა ააცალა. ძალე უმაწვილებს უჩვენა ვიწრო ღარი, რომელიც მიწაში ღრმათ ჩადიოდა.

დახეთ, ბოსტანას ხვრელის გზას, უთხრა კიკომ, — გაიქეცი, სანდრო, ჩემთან და მომიტანე ბოთლით ზეითუნის ზეთი. შენ კი, თინა, მომეცი შენი სარწყავი წელით.

—მებაღემ წყალს ზეთი დაასხა და მერე ღარში ჩაუშვა. ძალე უმაწვილებმა დაინახეს დიდი, უშნო, მწერი, რომელიც ამოდიოდა ხვრელიდან და ძლივს სუნთქავდა. ბოსტანა მთლათ ზეთში იყო გათხუპნილი. კიკოს უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ სანდრომ გამოართვა და კოლოფში ჩასვა.

— წავალ, დედას უჩვენებ, ის გვიამბობს მაგაზე.

— კარგი, უთხრა მებალემ,—ხოლო მოდი კიდევ ვნახოთ, ამ ხვრელში ხომ არა აქვს ბუდე, თორემ მარტო ეგ ვერ გააფუჭებდა ამოდენა კიტრს.

ეველა შეუდგა მიწის თხრას და მართლაც წაწყდენ მუჭის ოდენა დასორსალებულ მიწას.

— აი, სწორეთ ეს არის მათი ბუდე, წაუღეთ დედას, ეგეც საეურადღებოა. კიტრი კი უნდა ხელახლათ დავთესოთ! მაგრამ ცოტა მოვიცადოთ, დანარჩენებიც გაეეითლდება თუ არა. შეეიტეოთ იქნება ბოსტანა კიდევ არის აქ სადმე ახლო.

ბავშვები მაშინვე გაიქცენ დედასთან და აი იმანაც რა უამბო:

,,ბოსტანა მწერი ეველგან ცხოვრობს, საცა კი დიდი ზამთარი არ იცის. მათ ეეკართ მჩატე დაფშნალული მიწა და მზიანი ადგილები. დახედეთ მაგათ თათებს, მოწეობილი აქვთ ნიადაგის სათხრელათ.

— მართლა, როგორ მიეგავს თხუნელას თათებს, წამოიძახა თინამ.

— აგრეც უნდა იეოს, თხუნელაც ხომ მიწაში აკეთებს სოროს და იქ ცხოვრობს, ხოლო საქმე იმაშია, რომ თხუნელა მწერებს სჭამს და ამიტომ ბოსტანში მისი შესვლა სასიხარულოთ მიაჩნიათ. ბოსტანა კი აფუჭებს მცენარეების ფესვებს, თუმცა ისიც

ხშირად ემტერება მწერებს და თვით ბოსტანასაც. თიბათვეში სოლმე დედა-ბოსტანა ხვრელში ოთხი გოჯის სიღრმეზე იკეთებს ბუდეს. შიგნით ბუდე გამოლესილივით აქვს.

უმაწვილებმა გადასჭრეს ბუდე და შიგ ნახეს ასამდის ჰატარა უფრთო მწერი, მოდიდო ჭიანჭველის ოდენა.

— შეხე, დედა, ეს მწერი-ბოსტანა არ არის, ფრთები არა აქვსთ.

— ფრთები მეორე წელიწადს შეესხმებათ, უთხრა დედამ და მდუღარეში ჩაუარა ეს ჰატარა მწერები.— სრულით დიდები კი გახდებიან მხოლოთ ორი წლის შემდეგ. კიკოს მადლობა უთხარით, რომ მოგვინახა ამ ბოსტანას ხვრელი, თორემ ეს მწერები ჩვენ ბოსტანს ხეირს არ დააურიდენ.

უმაწვილებმა დიდი უურადღებით გასინჯეს თავიანთი მოტანილი ბუდე და შიგ მონახეს რამდენიმე მოგრძო ძიხაკის ფერი კვერცხი, საიდანაც ჯერ არ გამოსულიუვენ ჰატარა მწერები.

თინამ და სანდრომ იშოვეს მოდიდო კოლოფი, შიგ ჩადეს ეს ბუდე, რამდენიმე კვერცხი და თვით მკვდარი ბოსტანა ნემსზე ჩამორჭობილი და მოუთმენლათ მოელოდენ ძმას სასწავლებლიდან, რომ ეჩვენებინათ მისთვის.

ტასო.

(ბიკოვიდან)

სპილოს დღიურიდან

(დასასრული)

ავიდა ორი წელიწადი. ფრედა გაიზარდა, ესლა უფრო დავმეგობრდით, შევეჩვიეთ ერთმანეთს. ფიცხლავ ვტეობულობდი ჩემი საყვარელი ფრედას სურვილს. ემაწვილმა დაიწყო წიგნის სწავლაც, როდესაც ჩაუჯდებოდა შუბლშეკრული წიგნს და დაიწყებდა ასოების ამოკითხვას მე გული მეტანჯებოდა, მწყინდა, რომ ასე ეწვალებოდა. ორჯელ-სამჯერ წყალში გადუყარე კიდეც წიგნები, რისთვისაც აღმსრდელმა ფრეილინ-ლოტამ ძრიელ დამსაჯა: გაკვეთილის დროს ჯაჭვით მიმაბამდა ხეს.

ერთ დღეს, როდესაც ფრედა უჯდა თავის წიგნს და მეც ხეზედ ვიყავ მიჯაჭული, ვიგრძნე, რომ ვიღაცები მოიპარებოდენ ჩვენ ღობესთან. ეს იყო ორი ინდიელი.

— ჩუმათ, ეუბნებოდენ ერთმანეთს,—აი ესლა სწორეთ კაი დროა, მასწავლებელი ოთახში შევიდა და ბავშვი სულ მარტოა. აბა, ჩქარა გადადი ღობეზე.

— მერე ხომ შეიძლება, რომ სპილომ არ მიგვიშვას!

— ეგ ვერას დაგვიშლის. ჯაჭვითაა მიბმული.

ბევრი ვეცადე მე, მაგრამ ეველაფერი ტუი-ლი იყო. ჯაჭვს თავი ვერ დავაღწიე. ინდიელები გადმოვიდენ ღობეზე. ჩუმათ მიეპარენ ფრედას, მო-ხვიეს ხელი და გაარბევინეს. ვიტანჯებოდი, რომ შვე-ლა არ შემეძლო. როდესაც მასწავლებელი გამოვიდა ფრედა მაშინ უკვე შორს იქნებოდა.

მთელი სახლი ფეხზედ დადგა. ფრედა ვეღარ იპოვეს. მხოლოდ მე ვიცოდი. რანაირათ ვიტანჯე-ბოდი, რომ ვერ გამომეთქვა, ვერ შემეტყობინებინა ფრედას მოტაცების ამბავი. ერთი კვირის შემდეგ ის ინდიელები ვნახე კიდევ ჩვენ ღობესთან, იმათ შეხვ-დათ სხვა ინდიელი, რომელსაც უამბობდენ, რომ ფრე-და ძალიან კაი ფასში გაეიდეთ, და უკვე ევრო-პაში წაიყვანესო. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, რადგან შევიტყე, რომ ფრედა ცოცხალია. მინდოდა ერთი მათგანი დამეჭირა და მიმეყვანა ჩემ შეწუხებულ პა-ტრონთან, მაგრამ ღობეზე გადასვლა ვერ შევძელი.

ფრეილინ-ლოტაც წავიდა აქედან. სულ არ გა-სულა დიდი სანი, რომ პატრონმა გაეიდა აგარაკი და სადღაც შორს გადიკარგა.

დავრჩი მე ობლათ, მოშორებული ჩემ საყვარელ მეგობრებისაგან, ახალ პატრონის ხელში ჩავარდი. ამანაც აღარ მინდომა და გასცა ბრძანება—გაეიდეთო. ჩემი მეიდველი მალე გამოჩნდა, წამიყვანეს ზღვით შორს, ევროპაში და ბოლოს იმათაც მიმეიდეს სამხე-ცოში. მთელი რვა წელიწადი მატარებდენ სხვა-და-სხვა ქალაქებში საჩვენებლათ. ეს ნამეტანი დიდი ტანჯვა იყო ჩემთვის. მთელი დღეები მუსიკას აჭიჭ-

ეინებდენ, სრულიად არ მქონდა მოსვენება არც სალხისაგან და არც იმ ჰირუტუვებისაგან, რომლებიც ჩემთან ერთათ დაჭეავდათ საჩვენებლათ.

გავიდა დრო და მეც ბედმა გამიღიმა.

მოვიდა სამსეცოში ერთი ცილინდრის ქუდით კაცი, რომელმაც ამათვალ-ჩამათვალიერა. რაღაზედაც ელაპარაკა ჩემ ჰატრონს, მერე მისცა ფული და წავიდა

იმავ საღამოს წამიყვანეს ჩემ ახალ ჰატრონთან, რომელსაც თურმე ცირკი ჭქონებოდა. ამ დღიდან უნდა ცირკში ვეოფილიეავ და სულელური თამაშობით გამერთო მაყურებლები. ჩემი ჰატრონი ჩაიცვამდა ხოლმე რაღაც მასხარულ ტანისამოსს და გამიყვანდა შუა ადგილას. აქ სალხს ვართობდით, ვაცინებდით. ყოველთვის წარმოდგენის შემდეგ, თითქოს მადლობის ნიშნათ, ჩემი ჰატრონი მომცემდა ხოლმე ერთ ფორთოხალს, ან კიდევ რამ ტკბილს და თან დაატანდა.

— ეოჩაღ! ეოჩაღ! ჩემო ჯური.

ერთ ამისთანა წარმოდგენის დროს შევნიშნე მალიან ნაცნობი სახე. სპილოებს საზოგადოთ მესსიერება კარგი გვაქვს. მაშინათვე ვიცანი ქალი. ის იყო ჩემი საყვარელი ფრედას აღმზრდელი ფრეილინალოტა. როგორც ეტყობოდა ესლა სხვასთან იყო აღმზრდელათ, ყოველთვის ცირკში მოჭეავდა ორი ჰატარა უმაწვილი. მე ვცდილობდი ფრეილინა-ლოტასთან ახლო ვეოფილიეავ, მინდოდა მეთქვა:

— ნუ თუ, ვერ მცნობ?

ჩვენ წარმოდგენებზე სშირათ დადიოდა ფრეილინა-ლოტა. მეც სიხარულით ველოდი ჩემ გამოსვლას, რომ დამენახა კეთილი ფრეილინა-ლოტა.

ერთ ხანს ცირკში მოელოდენ საძზღვარ გარეთიდან გამოჩენილ ჯამბაზ ქალს, და დიდი იმედი ჰქონდათ, რომ იმის წყალობით შემოსავალი მოემატებოდათ, მუდამ ამაზედ ლაპარაკობდენ და საძზადისი ჰქონდათ. მალე წარმოდგენებიც დაიწყო და ეველა მეტათ აღტაცებული იყო ახლათ ძოსული ჯამბაზი ქალის სიმარჯვით და ოინებით. ძე და ჩემ ბატონს ეურადღებას აღარ გვაქცევდენ. ერთ ამისთანა წარმოდგენის დროს უცბათ მოძესმა ეკირილი: — ჩქარა ექიმი! ექიმი! ძუსიკაც გაჩუმდა, ხალხი აირ-დაირია. ამ არეულობაში გამოიტანეს საკაცეზე დასვენებული გულ-წასული ჯამბაზი ქალი. საბრალო ძალიდან ჩამოვარდნილიყო! ხალხში ექიმი არ აღმოჩნდა და გაგზავნეს მოსაეკანათ. სანამ ექიმი მოვიდოდა საბრალო ქალი ეველამ მიატოვა და ხელ-მეორეთ დაიწყეს წარმოდგენა, თითქოს აქ არაფერი არ მოძხდარაო. მე ძალიან შეძებრალა ეძაწვილი, მივედი ახლოს ცხვირ-სახოცი ჰირისახიდან ნელა ავხადე და წარმოიდგინეთ რა ვნახე? ჩემ სიხარულს საძზღვარი არ ჰქონდა! ეს იყო ჩემი საეკარელი ფრედა, მოვხვიე წელზე ხორთუმი და დაეწყე ჩემებურათ ალერსი.

— ფრედა, ჩემო ლამაზო, გონს მოდი, მე ვარ შენთან, შენი ერთგული ჯური.

ნელ-ნელა, მართლაც ეძაწვილი გონს მოვიდა. როგორც სჩანს იმანაც მიცნო, რომ მომხვია ხელები და ლუღლუღს მოჰყვა.

— ჯური! ჩემო ჯური! ოჰ, როგორ ვნატრობდი შენ ნახვას.

— მე აქა ვარ შენთან, ვეუბნებოდი ჩემებურათ.

თვალი გაახილა, ამათვალ-ჩამათვალიერა და ერთ-ბაშათ შეჰკივლა:

— ჯური! ნუ თუ შენ ხარ? და ხელმეორეთ უგრძნობლათ დაეშვა საკაცეზედ.

როგორც წინეთ, მისი მამის სახლში რომ ვიუავით და მძინარეს უგერებდი ხოლმე ფორთოხლის ტოტით, ესლაც ავიღე მისი ცხვირ-სახოცი და უგერებდი. რამდენიმე წუთის შემდეგ სრულიათ გონს მოვიდა, წამოჯდა საკაცეზე და მიამბობდა თავის თავ-გადასავალს. საბრალოს ეტეობა ბევრი უბედურება გა-მოუვლია! ბევრი იტირა და მეც ჩემებურათ ბევრი მატირა. ვშიშობდი რომ ჩქარა წარმოდგენა გათავ-დებოდა და შეგვიშლიდენ ჩვენ მეგობრულ მუსაიფს.

— ესლა შენ მუდამ ჩემთან იქნები, მეუბნებოდა ფრე-და.—ამის შემდეგ ჩვენ აღარ გავშორდებით!

მაგრამ მე ეს არ მჯეროდა, ნუ თუ ასეთი ბედ-ნიერება მელირსებოდა? მომაგონდა ფრეილინა-ლოტა. ვნატრობდი, ნეტავი ესლა ჩვენთან ეოფილიუო. თუ ის აქ არის ახლა, უთუოდ მოვგვრი ფრედას. წარ-მოდგენის გათავებას აღარ დავაცალე, ფრედა მივა-ტოვე მარტო და გავედი საცა თამაშობდენ. უველას ეგონა წარმოსადგენათ გავედი, და ტაშიხ ცემით მო-მეგებენ. მე ეურადღება არ მივაქციე და გავეშურე იქით, სადაც ფრეილინა-ლოტა მეგულებოდა. მართ-

ლაც ის იქ დამიხვდა. მოვსვიე წელზე ხორთუმი და გა-
ვარბეინე ფრედასთან. ხალხში ატუდა ალიაქოთი, ეველ-
ლანი გამომეკიდენ. მე სწრაფლათ მიეიეეანე ფრეი-
ლინა-ლოტა თავის საუვარელ ფრედასთან. ამათ ჯერ
გაკვირვებით დაუწეეს ერთმანეთს ეურება.

— ფრედა! ჩემო მვირფასო! წამოიძახა ფრეილი-
ნა-ლოტამ.

— ფრეილინა-ლოტა, ჩემო კარგო! კეთილო! წა-
მოიძახა ფრედამაც.

გადაეხვიენ ერთმანეთს და დაიწეეს ტირილი,
კოცნა, ალერსი. ამ დროს მოვიდა ექიმიც, მაგრამ
ის აღარ იეო საჭირო. მე ვუექიმე ჩემ საუვარელ
ფრედას. ეველა წავიდ-წამოვიდა, სანთლებიც ჩააქრეს,
ჩვენ კი სამნი ისევ ერთად ვიეავით, ერთმანეთს
ვუამბობდით ჩვენ თავ-გადასავალს, ჩვენ გაჭირვებას.
რანაირათ მინდოდა იმათსავით სიტეებით გამომე-
თქვა ეოველივე, რასაც ვგრძნობდი! მერე ფრეილინა-
ლოტამ ფრედა წაიეეანა თავისთან. მთელი ღამე
თვალი არ მომისუჭია, სულ იმათზე ვფიქრობდი,
ნეტავ წამიეეანენ თავისთან თუ, არა. ერთი თვის
შემდეგ ჩემთან მოვიდა ადრინდელი ჩემი პატრონი—
ფრედას მამა. თურმე ფრეილინა-ლოტას სცოდნოდა
მისი ბინა და მიეწერა ფრედას ეოვნა.

— შენ, ჩემო ჯური, მითხრა ფრედას მამამ, რო-
გორც ერთგული და კეთილი იეავ, ისე მეც ერთგუ-
ლათ უნდა მოგეგცე. რა ფასათაც უნდა დამიჯდე გა-
მოგისეიდი და წაგიეეან ჩემთან.

დავბრუნდით ეველანი ინდოეთში, ჩემ საუვარელ
ქვეეანაში. იქ დავბინავდით მშვენიერ, მდიდრულათ

მორთულ სახლში, ჩემი ბატონი თავის მეუღლესი ქალით და მასწავლებლით მხიარულათ დასეირნობდენ ხოლმე ბაღში და მეც, როგორც ჰაწია ცუგა დავეკვეტ ბოდი მათ, სრული კმაყოფილი ვიყავი მათი ბედნიერებით. თავს არ დავზოგავდი მათთვის.

ანიკა.



ყურძნის ეურდი

არიამობისთვე მიწურული იყო. ერთს მშვენიერ დღეს მზეს კაშკაში გაჭქონდა. საშინლათ ცხელოდა. სიცხის ბუღი არემარეს გარს ეხვეოდა. სიცხისგან გალეძებული ყოველი ცხოველი ჩრდილს ეძებდა გასაგრილებლათ, არ ისმოდა ფრინველთ მუდმივი ჭივილი. არც ძაღლების ყეფა აბეზრებდა ადამიანს თავს. მეკალოვეთ საქონელი წყალზე გაერეკათ გასაგრილებლათ, თვითონ კი ჩრდილში ძიმსხდარიყვენ დასასვენებლათ. ბროლია ურმის ქვეშ შემძვრალიყო, გამოეგდო ენა და საშინლათ ქაქანებდა. ჰაერი ისე იყო შეგუბებული, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა.

— წამოდი, ვენახში წავიდეთ და დიდი ვაშლის ქვეშ წიგნი წავიკითხოთ, იქ ეხლა მშვენიერი ჩრდილი იქნება და ეგრილება კიდეც. მითხრა ნინამ და წამოხტა ტახტიდან.

მეც ჭკუაში დამიჯდა ეს სიტყვები, ავდექი, ავიღე ხელში წიგნი და ორივენი წავედით ვენახში, რომელიც იქვე ახლო გვქონდა. შევაღეთ ვენახის კარი. ამან ისე საშინლათ დაიჭრიალა, თითქოს ამბობდა, რა დროს სიარულია ამ სიცხე—ბაბანაქებაშიო. ვენახში რომ შევედით ნინა წინ წავიდა. ჯერ ათიოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, რომ უცებ შესდგა და დამიძახა: „ერთი შეხედე! ეს რა არის, რომ ეურმნის მარცვლებით არის ასე აკუნწლული?!“ მეც მიველი, დავხედე და ზღარბი კი აღმოჩნდა. მართლაც ამ ერთიბეწო ცხოველს მთელი ტანის ეკლები ეურმნის მარცვლებითა ჰქონდა ასხმული.

ეს ცხოველი ზღარბი იყო და ეხლა ჩვენ რომ დაგვინახა მოიკუნტა და თავი და ფეხები შეიმალა შიგნით.

გაოცებულნი ვიდექით და შევსცქეროდით ამ მართლაც და გასაოცარ ცხოველს.

— მეც მაკვირვებს, ვუთხარი ნინას,—ამდენი მარცვლები ტანზედ ვინ აუსხა მეთქი. მოდი ერთი ამოვეფარეთ ხეს და რომ ველარ დაგვინახავს წავა.

მაშინვე ამოვეფარეთ იქვე ახლო მდგომ მსხლის ხეს.

არ გასულა სულ ორი წუთი, რომ ზღარბმა ჯერ თავი გამოუო, მერე გარშემო მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიცქერისო, და რო ვერავინ დაინახა გასწია ცუნცულით.

ჩვენც ფეხ-აკრეფით მივეევით უკან.

გავიდა ვენახიდან. იცოცა, იცოცა და მივიდა

ოავის ბუნაგთან. აქ გამოვიდა ჰატარა ძუძგი. ეს იქნებოდა მისი შვილი. დედა ზღარბი მიწაზედ გაწვა. ჰატარამ ეურძენს ჯამა დაუწეო.

მე გულ მოსული გავიქეცი, მინდოდა ქვა დამერტყა და თან დავიჯეივლე: „აი შე ეურძნის ქურდო მეთქი“, მაგრამ ნინამ შემაეენა და მითხრა: ნუ მოკლავ, ხომ ხედავ შვილი ჰეოლია და ცოდვაა.

მეც გავიგონე ნინას სიტყვა, თანაც ვიფიქრე, ეს შეჩვეულია აქ, კიდეე მოვა მოსაჰარათ და ვნახავ, როგორ იჰარავს მეთქი ეურძენს.

მე და ნინა სახლში წავედით.

იმ დღეს ქურდს იქ რაღა მიიეანდა. მეორე დღესაც არ მოსულა. მესამე დღეს მე და ნინა ჩვეულებისამებრ ვისხედით ვენახში და ველოდით იქნება ზღარბი დღეს მაინც მოვიდესო.

საშინლათ ჩამოცხა; შუა დღე გადავიდა რომ ზღარბი გამოჩნდა ის იქით მიდიოდა, საიდანაც წინათ ეურძენი წაიღო.

ჩვენ გავეუჩდით და დავეუწეთ ცქერა. ზღარბს ჩვენ ვხედავდით, ის კი ჩვენ ვერა გვხედავდა.

მივიდა ერთ ვაზთან, რომელსაც საშინლათ ბევრი ესხა. ისეთი ევითელი ქარვასავით მარცვლები ეკიდა, რომ არ იქნებოდა ადამიანს ამის დანახვაზედ ჰირში ნერწევი არ მოსვლოდა.

ზღარბმა მიიხედ-მოიხედა, მერე აცოცდა ვაზზედ და დაუწეო მარცვლებს ძირს ერა.

მე არ გამიკვირდა, ვიცოდი რომ ზღარბი ხეზედაც ადის და ეურძენსაც მადიანათ მიიროძევს. მე

უფრო ის მაკვირვებდა ესლა, რომ ვინ უნდა აასხას ამის ეკლებზედ ეს მარცვლები მეთქი.

უურძნის ქურდი ჩამოცოცდა ვაზიდან, მივიდა მარცვლებთან, მოიკუნტა მუშტივით და გაგორდა მარცვლებზედ. ეს თავისი მოხერხებული ოინი რამ-დენჯერმე გაიმეორა. შემდეგ წამოდგა, და გასწია თავის ბუნაგისკენ.

— ა�ა! აი ვის უმარცვლნია უურძნის მტევნები და სახლში კი ჩვენ გვაბრალებენო, წამოვიძახეთ და გავიქეცით სახლისკენ, რომ უველასთვის გვეამბნა ამ საკვირველი ქურდის ამბავი.

ფ. სირაძე.



პატარა ტარიელი.

(შემდეგი)

ვერცხლ-თმიანი ქალის მამა თავ-გამოდებით ეძებს ტარიელს.

ამ დროს, როდესაც ტარიელს ეძინა შარმა-ზანის ქოხში, ვერცხლ-თმიანი ქალის სახლ-ში დიდი ამბავი მოხდა: მზე ჯერ არ იყო ამოსული, რომ მეფეს გამოელვიძა; და-ღონებულმა და დამძარებულმა გასწია იმ ოთახისა-კენ, სადაც გველაშაპი მისი ქალების სისხლითა ძღებოდა. მეფე სულ იმის ფიქრში იყო, რომ ქა-ლიშვილები ცოცხლები აღარ დახვდებოდენ... გულ-დათუთქვილმა შეაღო კარები და შეკრთა, როდესაც დაინახა ოთახში სისხლის მორევი, თავ-მოჭრილი გველეშაპი იქვე ეგდო და მის ქალებს ტკბილათ ეძი-ნათ. დარდებისაგან გაუცინარმა მეფემ გაიცინა და აათვალ-ჩაათვალიერა ოთახი და შენიშნა, რომ ქალე-ბიც თავ-თავიანთ ადგილას აღარა წვანან და უმცროს ქალს თითიდან ბეჭედი წაძრობილი აქვს... ამ სანა-ხაობამ მეტის-მეტათ გააამხიარულა მეფე და გადასწ-ევიტა: შევძრამ მთელს ქვეყანას, ცაცა და დედამიწას და უძებელათ ვიპოვნი იმას, ვინც ჩემი ქალები და-იხსნა განსაცდელისაგან და მეც სიბერის დროს ასე

გამახარაო! მეფემ მაშინათვე ეს ბრძანება გასცა: — გამართეთ ჩემს სასახლეში წვეულება და ამ წვეულებაზედ უნდა გამოცხადდეს ყველა: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი. და ვისაც აღმოაჩნდება ჩემი უმცროსი ქალის ბეჭედი, იმას ნება აქვს შეირთოს ერთ-ერთი ჩემი ქალი და ნახევარ სახელმწიფოსაც იმას მივცემო.

თქმა იყო და ბრძანების აღსრულება: გაიმართა წვეულება, რომლის მგზავსი ქვეყნის გაჩენიდან აქამომდის არა ყოფილა-რა. მოზვირთდა ამ წვეულებაზედ ხალხი—დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი. მასპინძლის გულ-უხვობას მზისა და მთვარის გულ-უხვობა თუ შეედრებოდა, სხვა არაფერი! იქ მეოფთ ჭამეს, სვეს, მრავალი საჩუქარი მიიღეს... მათი ქივილ-კივილი, საკრავების წკრიალი ცამდის ადიოდა! ყველა მხიარულობდა, მხოლოთ ერთად ერთი მეფე დაღრეჯილი და გულ-ჩათხრობილი მიდიმოდიოდა ოთახებში და ჩუმ-ათ ცრემლებსა ღვრიდა: იგი სტუმართა შორის ვერა ჭხედავდა იმ ადამიანს, რომელმაც დაიხსნა მისი ქალები განსაცდელიდან. წვეულება რომ გათავდა, მეფემ მოიხმო ნაზირ-ვეზირნი და ასე უთხრა: ჩემი დაღონების მიზეზი ყველა თქვენგანს კარგათ მოეხსენება, შვება უნდა ჩემს გაქვავებულ გულსა და გიბრძანებთ: ვინემ მზე ამოვიდოდეს, შეკმაზეთ ცხენები, დაამზადეთ თოფიარაღი და ჩემთან ერთათ წამოდით, შევაჯეროთ მთელი ჩემი სახელმწიფო, ყველა კუთხე მივიარ-მოვიაროთ და სადაც იყვეს, ვიპოვნოთ ის ცმირი, რო-

მელმაც სისარულიც მომანიჭა და ასეც დამადარდიანაო!..

მეორე დღეს, ბნელი და ნათელი ისევ ისე ბრძოლაში იყვენ, როდესაც მეფე თავისი ამალით მოშორდა სასახლეს... იარეს, ბევრი იარეს, შეაჯერეს მთელი ქვეყანა: ერთი ეს არის ცას ვერ შესწვდენ, თორემ ერთი კუთხე არ დარჩენიათ დაუთვარიელებელი, მაგრამ არ იქნა და არ, ვერ მიაგნეს იმ გმირის კვალს... უარესად დაღონდა მეფე, ჰირს ნაური არ მიიკარა, ფიქრმა და საგონებელმა შეიპყრო მთლათ მისი არსება. იქ მეოფთ ეშინოდათ მეფეს არა მოუვიდეს რაო და გადასწვიტეს შინ დაბრუნება. ის იყო სხდებოდენ ცხენებზედ, როდესაც ერთმა ყმამ დაინახა სადღაც მთის ძირში კვამლი ამოდიოდა და მოახსენა მეფეს:—ჩვენ ყველა კუთხე შევაჯერეთ და აიმ ადგილას კი არა ვეოფილვართ, საიდანაც ბოლი ამოდისო! წავალ დიდებულო მეფევ, იქ, იმ ადგილსაც დავათვალიერებ და, თუ საწადელს მივაღწევ, შენც გაგახარებ და მეც გავიხარებ, თუ არა და, იცოდეთ მე იქიდან ცოცხალი აღარ დავბრუნდებიო... ჭაბუკი მარტოკა არ გაუშვეს და ყველანი ერთათ წავიდენ იქითკენ. ორი დღის სიარულის შემდეგ მიადგენ ერთს ჯოჯოხეთ ადგილს: ეკალ-ჯაგებით გზა იყო შეკრული და შეუძლებელი იყო იმ ადგილამდის მიხწევა. კვამლი კი ძალიან ახლო მოჩანდა. მეფის ბრძანებით იქ მეოფთ დაუწყეს გზის სწორება და, როგორც იყო, ორ დღე-ღამეს ძირიან ფესვიანათ ამოაგდეს ის ჯაგ-ეკლები და გავიდენ სამშვი-

დობოში. მთის ძირთან რომ მივიდნენ, დაინახეს ქოხი, რომლიდანაც ხმაურობა ისმოდა. შევიდა მეფე ამალით იმ ქოხში და ნახა, რომ გუზ-გუზა ცეცხლს შემოსხდომიან სამი ახალგაზრდა და ერთი მოხუცი კაცი. იგინი მაშინათვე წამოცვივდენ, მიესალმენ მეფეს და მისთავაზეს საჯმელი. მერე ტარიელი შეეკითხა აძათ:

—ვინა ხართ? საიდან მოხვალთ? და აქ რამ მოგიყვანათო.

ტარიელმა იცოდა ვინც იყვენ იგინი და განგებ ჰკითხა. მეფემ შეჰხედა ემაწვილს და მისმა სილამაზემ და გმირულმა გარეგნობამ ძალიან გააკვირვა იგი. ხელებზედ დაუწყო ცქერა—იქნება ამასა ჰქონდეს ჩემი ბეჭედიო! ტარიელმა ხელი დამალა. „გულს გული იცნობს ხოლმე“. მეფე თვალს არ აშორებდა ჭაბუკს და თავის თავათ აძას გაიმახოდა:—ღმერთო დიდებულო! მაპოვნინე ის გმირი კაცი და, თუ მას ვერ ვიპოვნი, ეს მაინც მამეცი ჩემი ქალების ვატრონათაო.

ტარიელს შეეცოდა მეფე და უამბო არაკი, რომელშიაც ასწერა თავისი თავ-გადასავალი, მხოლოთ იმ გარჩევით, რომ მოქმედების ალაგი გადაასხვაფერა და თავისი გმირობა სხვას მიაწერა. ისე მოხდენილათა ლაპარაკობდა, რომ იქ მყოფნი სიამოვნებით უგდებდენ ყურს და ხან ისე გაიღიმებდა ხოლმე, გეგონებოდა მზე მთვარეს უცინისო. დილასამებრ ლამაზი თვალები აქეთ-იქით ისროდა ისარს... ეველაფერს დასასრული აქვს და ტარიელმაც გაათა-

ვა არაკი და მოიდენილათ შეათამაშა ხელი. მეფემ ბეჭედს თვალი მოჭკრა, წამოვარდა მაშინათვე, მი-ვარდა ჭაბუკს, მიიკრა გულზედ და წამოიძახა:—„აი ვინ არის ჩემი ქალების მხსნელი, აი ვინ ამიხილა სიბერითა და დარდით დაბრმავებული თვალები“.

ყველა ფეხზედ წამოცვივდა და ყველა გაკვირვე-ბით შეჰყურებდა ტარიელს. ტარიელმა ახლა კი ყვე-ლაფერი სიმართლით უამბო. ყველანი განცვიფრებამ შეიპყრო.

— წამოდი, ჩემო მხსნელო, ჩემო თვალის ჩი-ნო, წამოდი ჩემთან სასახლეში, ამოირჩიე საცოლოთ, რომელიც გინდოდეს ჩემი ქალი და სიკვდილის შემდეგ იქნები მფლობელი ჩემი სახელმწიფოსი. თქვენც, უთხრა მეფემ სხვა ძმებსაც, წამოდით ჩემ მდიდარ სახელმწიფოში, დანარჩენი ჩემი ქალებიც ითხოვეთ და იცხოვრეთ სამივე ძმებმა ერთათ და ბედნიერათ. შენც, შარმაზან, წამოასხი ჩემსას ცხენების ჯოგი და იცხოვრე შენც ჩემთან შენი გაზრდილების საბე-დნიეროთ. შარმაზანს მეტი სიხარულისაგან თვალში ცრემლი მოერია. ყველანი ერთათ მხიარულათ გაუდ-გენ გზასა. ცხენების ჯოგი წინ გაირეკეს.

გზაზედ ტარიელი ხშირ-ხშირათ აყენებდა ცხენს და უჩვენებდა მეფეს იმ ადგილებს, სადაც მან გმი-რობა ჩაიდინა. ბევრი სიარულის შემდეგ მშვიდობია-ნათ მივიდენ სასასლეში. უფროსმა ძმამ უფროს ქალზედ დაიწერა ჯვარი, შუათანამ შუათანაზედ; ტა-რიელმა უმცროსზედ დაიწერა... ნახევარი სახელმწი-ფოსი მიიღო მზითვათ და ამ ნაშოვარში ყველა

ძმებს წილი დაუდო. მეფემ დიდი ქორწილი გადაუსადა ამათ. ესენი ორიოდე თვე დარჩენ აქ და მერე მოინდომეს თავის სახელმწიფოში წასვლა, სადაც გულის-ფანცქალით ელოდა მათ მოხუცებული დედა.

დაღონდა და დაძმარდა მეფე მათი მოშორებით, მაგრამ ბედს დაემორჩილა. სასახლეში გასართობათ მხოლოდ შარმაზანი დაიტოვა მეფემ. სასახლეს მათი წასვლის შემდეგ შავი ფარდა ჩამოეფარა.

ალ. ნათაძე.

(დასასრული იქნება.)

გამოცანები.

ბუჩქი არ არი და ფურცლები აქვს,
პერანგი არ არი და შეკერილია,
ადამიანი არ არის და გვიამბობს.

—

ცხენზე ზის—წიგნსა კითხულობს,
კითხვა კი თითონ არ იცის.

—

ხელთ უქმნელი აყიროა,
მოძრავია, მზეში გვფარავს,
ვერაფერით შევეხებით,
მაგრამ ღამე მოიპარავს.

—

ცხელა მოძრაობს, გრილა ისვენებს.
მოძრაობს—გრილა, გაჩერდება—ცხელა.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

(სოფ. ტყვიავში ჩაწერილი ნ. კეცხოველისაგან)

გათენებისა ვარსკვლავი
ელამუნება მზესაო,
სადილათ ჩვენსა მობძანდი
შენი შვილების მზესაო.

—

ნადარბაზეო ქვიანო,
ნიადაგ ქარი ქრიანო,
არც წყალო, არცა წისქვილო,
არც მეზობელო მხრიანო.

—

ახლო-ახლო ხარ სოფელო
გორო, მეტეხო, ნიაგო,
დავბერდი ველარ ვიარე
სადა ხარ, ჩემო იაბო.

ენსტიხოზი*).

წარმოდგენილი სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოსწ.
ვ. დიდებულიძის მიერ.

იპოვნეთ ამის მინაგვანი შვიდი სიტყვა, რომელიც შესდგებოდეს ხუთი ასოსაგან და შუა ასოებით გამოვიდეს ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტის გვარი.

1. შარიანი.
2. კეთილი, სვინდისიანი.
3. ერთი ზმნა.
4. მამიშენის ცოლის დედა.
5. გარეული ოთხფეხი.
6. ერთ-ერთი სახელი.
7. უთათო ჩულქი.

—

როგორ უნდა დაიწეროს 100—ოთხი ერთნაირი რიცხვით?

გამოცანებისა: სეტყვა, შვინდი, საჩეჩელი, მსხალი.

ზმა: მტრედი, დოქი, ქილა, ავეჯი, ინგილო, დილომი, დაბა.

ანაგრამა: აგური—გურია.

აკროსტიხი: ივანე მაჩაბელი.

რებუსი: მელა ქათმების მტერია.

---

*) ვინც ამას ამოიცნობს საჩუქრათ რედაქცია მისცემს ახალ წიგნს: მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა.

ᲓᲘᲚᲐ

ოსწყდა ცის კიდეს, ალმოსავლეთით,
ნათელი სხივი განთიადისა;
შვენების ისრათ დაეცა მთის მკერდს
სიცოცხლის ძალა დღე-დიადისა!..

* *
*

გულში შეიჭრა ნაკადი შვების,
ქვეყანამ იგრძნო ლხენა სულისა,
ყვავილთ მგოსანი წალკოტს დაჰხარის,
ჰანგი მიუძღვნა სიყვარულისა!..

* *
*

ბუნება—სახე გაბრწყინებული
იცინის, ზეცას უგზავნის სალამს,
და სანეტარო შვენებით ქარგავს
სიცოცხლის გვირგვინს, ცხოვრების ალამს!

გელა.



ვანო, როგორ სწავლობს გაკვეთილს!

სცენა სოფლის ცხოვრებიდან.

მომქმედნი პირნი:

ვანო. სოფლის სკოლის მოწაფე—10 წლისა.

თინა } ვანოს დედ-მამა 30 წ.
დათია } ვანოს დედ-მამა 40 წ.

ირინე. ვანოს ბებია—60 წ.

(ფიცრული ოთახი მთლათ შემწვარტლულია შუა-ცეცხლისაგან და უშუშო ლამპისაგან. მარჯვნივ ურდულიანი კარია. პატარა ტახტზე ლოგინი აფარია. მარცხნივ ფანჯარაა, ფანჯარასთან სკივრი დგას. სკივრთან სამფეხა ხის სკამი. სკივრის გვერდით ორი კოკა და სურაა. უკანა კედლის სიგრძეზე ორი ხის თაროა ჯამ-ჭურჭლით, ჭერიდან ჯაჭვია ჩამოშვებული, რომელზედაც თანგირა ქვაბი ჭკიდია. კერის ძირას ზის თინა, დარიბათ, მაგრამ სუფთათ ჩაცმული. თინას ხელში ექვსი თვის ბიჭი უჭირავს და უალერსებს).

დედა ჩემი გვრიტიც ეს არის, ჩემი ჩიტიც ეს არის. აღუ! აღუ გიგლას. (ვანო ზის სკივრთან, სამ ფეხა ხკამზე, გაკვეთილების სასწავლებლათ ემზადება).

დედა. (მიუბრუნდება ვანოს) უი, შენამც გენაცვალება დედა შენი, შვილო, აბა ერთი ლექსი მითხარი, აღარა გისწავლია რა?

ვანო. (უხალისოთ) ახლავე, დედილო, „დაჭრილი არწივი'' მოგვცეს საზეპიროთ, ვაჟა-ფშაველასი. გზაზე ვისწავლეთ, ბიჭები ერთად მოვდიოდით ყარაულიანთ შესახვევამდე.

დედა. თქვი, შვილო, თქვი.

ვანო. არწივი ვნახე დაჭრილი,
ყვავ-ყორანს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა.
ცალ ფრთას მიწაზედ მიითრევს,
გულის პირს სისხლი სცხებოდა.

ვაჰ, დედა თქვენსა ყვავებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორემ ვნახამდი თქვენს ბუმბულს
გაშლილს, გაფანტულს ველადა.

დედა. (მეტის მეტათ ნასიამოვნები) შენამც გენაცვალები, შვილო, გული გამეხსნება ხოლმე შენი ნათქვამით.

ვანო. (გადაშლის „Русское слово"-ს და გაკვეთილს სწავლობს). Я утромъ встаю, одѣваюсь, умываюсь, причесываюсь, молюсь Богу, пью чай и иду въ школу.

დედა. (გიგლას აკვანში აწვენს და თან ვანოს გამოელაპარაკება) რას კითხულობ, შვილო!

ვანო. რუსულია, დედი, მასწავლებელმა მითხრა, რომ კარგათ იცოდე, ხუთჯერ მაინც უნდა წაიკითხო შინაო.

დედა. ქართულათ იცი, რასაც ჰკითხულობ?

ვანო. როგორ არ ვიცი, მაშ ყურს არ ვუგდებდი კლასში? (გიგლა დაიჩხავლებს. დედა მეორე ხრტახს გადაუჭერს, პირზედ ხელაბანდს დააფარებს, ჩაუდებს ძუძუს პირში).

ვანო. Я утромъ встаю, одѣваюсь, умываюсь, причесываюсь, молюсь Богу, пью чай и иду въ школу. (კარედან ირინეს ხმა ისმის).

ირინე. ვანო-ო, შვილო, აბა ნიკორა მოაგდე, წელან ნასიმინდარში ბალახსა სწიწკნიდა. (კარებიდან ირინე ერთი კი შემოიხედავს და იმ წამსვე გაბრუნდება).

ვანო. ბები, გაკვეთილები, რომ არ ვიცი (კარედან მოისმის ირინეს ხმა).

ირინე. (კარედან) ადე, ადე, გაკვეთილებს მოასწრობ, ამ უშველებელ ღამეში. (ვანო გადის).

(დედა გიგლას აქამდე აწოვებდა ძუძუს, ეხლა აწვენს აკვანში. კარედან ვანოს ხმა ისმის, სახრით ერეკება კამეჩს).

ვანო. (კარედანვე) აჰა, ბები, ესეც შენი ნიკორა. (ვანო შემოდის ფოთხში, წიგნს იღებს და კვლავ კითხულობს) Я утромъ встаю, одѣваюсь, умываюсь, причесываюсь, молюсь Богу, пью чай и иду въ школу. (გიგლა ტირის).

დედა. შვილო, ვანო, მოდი გენაცვალე ერთი ეს ბალღი გადაარწე. მამაშენს საცვლები უნდა დაუკერო, ხვალ გზის ზასაკეთებლათ გადის სოფელი, ღრუბერნატარი მოდის.

ვანო. დედი, გაკვეთილები არ მისწავლია ჯერ.

დედა. არა უშავს რა, შვილო, მოდი, მოდი, ამოდენ ლამეში ვერ მოასწრობ? (ვანო წიგნით ცალ-ხელში, სამფეხა სკამით მეორეში, მიდის აკვანთან. სკამს დასდგამს, დაჯდება, ცალ-ხელში წიგნი უჭირავს, მეორით აკვანს არწევს).

ვანო. Я утромъ встаю... სუ, სუ, ნა-ნა, ნა-ნა ბიბილასა. (მდერის) одѣваюсь, умываюсь, причесываюсь... (ბიბილა ტირის). გიგლავ, გიგლავ, გიგლიკო. სუ, სუ, (რაც ძალა აქვს არწევს აკვანს). ოლონდ ეხლა გაჩუმდი და კვირას მთელ დღე გარწევ. (თინას სკივრიდან დასაკერებელი სატვლები, ნემსი ძაფი ამოუღია, სკივრზე ზის და აკერებს). Молюсь Богу пью чай и иду въ школу. (ბიბილა არა სცხრება, დაბნელდა თინა თაროდან დამპარს ჩამოიღებს, ანთებს, მიიტანს სკივრთან, დასდგამს სკივრზე, თითონ იქვე მოიკეცს და განაგრძობს კერვას) (ბიბილა გაჩუმდა. ვანო გაკვეთილს სწავლობს).

ვანო. Я утромъ встаю, одѣваюсь, умываюсь, пью чай и иду въ школу. ეს ხომ ვისწავლე! დილილმე, დილილმე! (სკივრიდან ჩანთას აიღებს, ჩასდებს „Русское слово"-ს, ამოიღებს ანგარიშის რვეულს, საწერელს და კალამს).

ვანო. დედი, ე ლამპარი ცოტა აქეთ უნდა მოვდგა, დასაწერი მაქვს.

დედა. მიდგი, გენაცვალე.

(ვანო დამპარს მიიდგამს, მოიტანს სამფეხა სკამს, დაჯდება, გაშლის რვეულს და წერას იწყებს.)

დედა. ე რას აწიკწიკებ, შვილო.

ვანო. აი, დაინახე, კიბე უნდა დავხატო.

დედა. მერე ვისა აქვს მაგ სიმაღლე კიბე?

ვანო. არავის, ისე ამოცანა უნდა შევადგინო.

დედა. გამოცანა?

ვანო. გამოცანა კი არა—ამოცანა.

დედა. ამოცანა რაღაა?

ვანო. აი, დავხატავ და მაშინ გეტყვი. (ვანო ხატავს). აი, დედი, უყურე, ამ კიბეს ოცდა ათი საფეხური აქვს. ზემოდანაც ბიჭი ჩამოდის, ქვემოდანაც ზეით ადის მეორე ბიჭი. ზემოთამ თხუთმეტი საფეხური ჩამოიარა და გაჩერდა. ქვემო-

თამ ზეით შვიდი საფეხური აიარა (კარი შემოიდო და დათია შემოდის).

დათია. ვანო, ადე ერთი კიპორასთან გუდა მითხოვე, ხვალ პურის წასაღებათ დამჭირდება.

ვანო. ეჰ, მამილო, დაიცა, ვისწავლო.

დათია. ადე, ადე, მოასწრობ. (ვანო გადის).

თინა. მოგიკვდეს, შვილო, დედა, წელან მე და დედამთილმა მოვაცდინეთ, ეხლა შენ. ან კი, როგორლა სწავლობს ეგ დედამკვდარი ისე კარგად, ენაცვალოს დედა, დილით ადრე უნდა წავიდეს ხოლმე სკოლაში: იქ არავინ დამიშლისო. (დათია ჯდება, გაიხდის ქალამნებს, ქამრიდან ტუაგის ნაჭრებს გამოიძრობს და ქალამნებს უგებს, სადაც გაცვეთილია)

დათია. (ამოიოხრებს) ეს ოხერი სიღარიბე რა ძნელია. (თინა კიდობანიდან ამოიღებს ლურჯ სუფრას სულ დაკონკილს, გაშლის კერას ახლო, ზედ დაადაგებს სამ ბურს, ჯამებს, სამაღიდეს, ხის კოვზებს. ხახვის გადიდან ხუთ ხახვს აცლის, მერე ხახვს ფცქვნის და შეჭაშადს ჯამებში ასხამს, შემოდის ირინე).

თინა. დედამთილო, ერთი საძმარე მომაწოდე.

ირინე. (ჩამოიდებს საძმარეს და თინას წინ დაუდგამს) ვანო სადღაა?

თინა. კიპორასთან წავიდა გუდის სათხოვნელათ... ჩვენი ახალბედა, რასა იქს?

ირინე. კარგაა, ყოჩაღათ, მარილიც შევალოკე. (თან ბურნუთს ეწევა).

თინა. დედამთილო, ერთი სურაც მოდგი.

(ირინე სურას მიიტანს, იქვე მოიკეცავს, გადიბანს ხელს, გადიწერს ბირჯვარს და ბურს გასტეხს),

ირინე. ღმერთო, შენ გვიშველე.

დათია. (ხელს გადიბანს და ჩოხის კალთაზე იწმენდს. ბურს იღებს).

ვანო. (შემოდის) მამი, აჰა გუდა.

დათია. ემანდ სკივრზე დადე.

თინა. მოდი, შვილო, ვივახშმოთ (ვანო მამასა და დედას შუა ჩაჯდება. ყველანი გემრიელათ შეექცევიან).

დათია. ძალიან მომშივნია.

ირინე. როგორ არ მოგშივდებოდა, ცოტა სასუქი გაზიდე გომურიდან?. (სიჩუმეა).

თინა. გიგლას რა მაგრა სძინავს.

ვანო. წელან კი არ მომასვენა, აქამდის ხომ ვისწავლიდი გაკვეთილს. (სუფრიდან წამოდგებიან).

ირინე. (ჰირჯვარს იწერს) ღმერთო, შენ მიშველე.

თინა. (ლოგინსა შდის) ვანო, შენ ბებიასთან დაწვები თუ, მამაშენთან?

ვანო. ჯერ არა მცალიან, ვისწავლი გაკვეთილს და მაშინ სადაც მინდა იქ გავიშლი მე თითონ.

თინა. ეხლა რაღა დროსია, შვილო, ლამპარი ქრება, ნავთი ამოიწვა.

ვანო. რა ვქნა, რო არ მისწავლია, აქეთ წადიო, იქით წადიო, ბალღი დაარწეო. (ამბობს წურბმით ვანო და წიგნებს ინახავს ჩანთაში).

(ფარდა ეშვება)

სურათი მეორე.

(გარიჟრაჟია. სკოლის ეზო ცარიელია. სკოლის აივანზედ გადატეხილ მერხზედ ვანო ზის და სწერს)

ვანო. ესეც ხომ გავათავე. ვალალე, ვალალე! (მდერის). ახლა აბრამსაც გავიმეორებ. (იდებს სადმრთო რჯულს და კითხულობს. ეზოში შემოდიან უმაწვილები და გაჩქვთ ყრიამუალი).

(ფარდა წუნარად ეშვება.)

ნინა გოგნიაშვილი.



უცნაური მესტვირე

ბევრი ხანი არ იქნება რაც ერთ სოფელში ცხოვრობდა პატარა ბიჭი, რომელსაც მუშაობის ხალისი სრულებით არა ჰქონდა.

მისი უმწეო დედ-მამა დილიდან საღამომდის შეუსვენებლივ მუშაობდენ. სოფელი საერთოთ ღარიბი იყო და ყველა თავ-აუღებლივ ჭაპანს სწევდენ ლუკმა პურის საშოვნელათ.

და აი ამ პატარა ბიჭს, რომლის ამბავი მინდა გიამბოთ, არ უნდოდა მუშაობა არც მინდორში, არც ტყეში და არც სახლში.

თვითონ პატარა ბიჭს ეგონა, რომ დიდ მუშაობაში არის, რადგან სულ იმას ცდილობდა, როგორ გააუმჯობესოს თავისი უცნაური სტვირი. ეს სტვირი თავისი გამოგონებული იყო და არ მიეგვანებოდა არც სალამურს, არც დუდუკს—ეს იყო უბრალო სტვირი,—მერე ისეთი პატარა, რომ უცხო თვალი ვერც კი შეამჩნევდა მას ბიჭის პირში.

ზოგჯერ მოგესმოდათ თითქოს სიმღერაა, ზოგჯერ თითქოს სალამურს უკრავენო და ზოგჯერ კი ისეთი გრიალი და ზუზუნი გაჰქონდა, იტყოდით მთელი გუნდი მემუსიკენი უკრავენო.

როდესაც პატარა ბიჭი თავის სტვირზე ნელა და ტკბილათ მოჰყვებოდა სტვენას, მის დედას გულზე დარდი მოეშვებოდა და გამხიარულდებოდა. მას, ახლა დალმეჭილს, კბილებ ჩამტვრეულ ბებერს—მოაგონდებოდა თავისი სიყმაწვილე, რო-

დესაც ის ლამაზი და მორთული მხიარულათ ცეკვამდა თავის საყვარელ დანიშნულთან ლარსთან.

ყმაწვილის მამა ლარსიც, ზამთრის ღამეებში, ფეხთსაცმელებს რომ აკერებდა, გაიგონებდა თუ არა შვილის საამურ დაკვრას, გადასდებდა თავის საქმეს, შეხედავდა შვილს და იგონებდა იმ ბედნიერ დღეებს, როდესაც მან პირველათ ააშენა ეს სახლი და შიგ შემოიყვანა ახალგაზრდა, ლამაზი ანნა. მაშინ რა ნაირი სასიამოვნო იმედები წარმოუდგებოდა თვალწინ! ეგონა, რომ ეს ეს არი, გაზაფხულზე ოთახის ჭერი გაიხსნება და მზესთან ერთათ მის ბინაზე შემოაჭყეტს სიმხიარულე და შვება... და მოჰყვებოდა ოცნებას, როგორ გაამჯობესოს თავისი ცხოვრება.

თუმცა დედ-მამისთვის დიდი სიამოვნება იყო შვილის დაკვრის გაგონება, მაგრამ ისინი მუდამ ეჩიჩინებოდენ, რომ საჭიროა ხელობა შეისწავლოს, ამ უცნაურ სტვირზე დაკვრით ლუკმა პურს ვერ იშოვის.

ბიჭი კარგათ ხედავდა, რომ თუმცა სკოლის მასწავლებელი ძალზე მოხუცდა, და უკრავდა თავის დანჯღრეულ სამ სიმებიან სკრიპკაზე ერთ და იგივე ხმებს—მაინც ფულს ბლომად შოულობდა. როდესაც მოხუცი ქუჩაში გამოვიდოდა სკრიპკა ხელშით, ყველა აკვრევინებდა და დიდი და პატარა აღტაცებაში მოდიოდა.

სოფელში კიდევ ერთი დამკვრელი ჰყავდათ—თერძი პიერი, რომელიც სალამურზედ უკრავდა. არც ერთი დროს გატარება არ იქნებოდა უიმისოთ. ის ლუდით და არაყით გაიჟღენთებოდა და ვერცხლის ფულსაც ბლომათ მოაგროვებდა.

მერე რა ლამაზი იყო ეს შავგვრემანი, ჩასუქებული პიერი ყოველთვის ლურჯი მაუდის ტანისამოსში გამოწყობილი, ყელზე შემოკრული ალისფერი აბრეშუმის ხელსახოცით. ის დაკვრის დროს ოფლში იწურებოდა და სახე ულაპლაპებდა.

— ნეტავი თერძი პიერსავით იკოდე დაკვრა, ეტყოდა შვილს მოხუცებული ლარსი.

მერე, იცით შვილი რას უპასუხებდა:

— არც მინდა, რომ აგრე ვუკრავდე!

მთელი დღეები ყმაწვილი სულ თავის სტვირის ამბავში იყო, პირიდან არ იშორებდა საკრავს.

— ნეტავი ვიცოდეთ, სად ჩაიმალავ ბოლმე მაგ სტვირს, ეტყოდენ, —პირში თუ მუცელში, გააღე ერთი პირი, დაგვანახვე.

ყმაწვილი პირს გააღებდა, მაგრამ მაშინ სტვენა აღარ მოისმოდა.

დედამ ერთხელ რჩევა ჰკითხა მასწავლებელს: რა ვუყო ამ ჩემ შვილსაო?

იმან პასუხათ მოუგო: არაფერია, ნუ სწუხარ, ეგ ჟინი გაუვლისო. მეტადრე, როდესაც სწავლის დრო დაუდგებაო.

მაგრამ სწავლის დაწყებამაც არა უშველა რა, თუმცა მასწავლებელი წამ-და-უწუმ თავში ეტყაპუნებდა.

მამაც პასტორს ეკითხებოდა: მიშველე რამეო. ის დაჰპირდა—ქადაგების დროს შენი შვილის ნაკლულევანებას მოვიხსენიებო...

მაგრამ ყმაწვილს და მის სტვირს არც ერთი იმისთანა მტერი არ ჰყვანდა, როგორც ახლათ მოსული მასწავლებელი ქალი. მან სხვა და სხვა ახალი წესები შემოიღო და ყველას მკაცრათ ეკიდებოდა.

— ეს რა სტვირი გიშოვია? ჰკითხა მან უკმეხათ ყმაწვილს.—ეგ ხმები შენი გამოგონილია, თუ სადმე ხალხში გაგიგია? მითხარი, როგორა გაქვს მოწყობილი ეგ სტვირი, ან, როგორ უკრავ?

ყმაწვილმა ხმა არ გასცა. შეუპოვრათ შეხედა, ტუჩებს მოუჭირა და გაეცალა მხიარული სტვენით.

— შეუპოვარი ყოფილხარ, გეტყობა სრულ ჭკუაზედაც არა ხარ.

და ყველა ეთანხმებოდა ქალს, რომ ყმაწვილი ჭკუაზე შეშლილია.

ამის გამგონი დედა სულ ირეოდა.

ყმაწვილი კი თითქოს ყურადღებას არ აქცევდა, აინუნში არ მოსდიოდა, მაგრამ ხან-და-ხან ისე ნაღვლიანათ და მწუხარებით გამოიყურებოდა, რომ კაცი შეიბრალებდა. ზოგჯერ ისეთი ბოროტათ და სასტიკათ შემოიხედავდა, რომ ახლოს ვერავინ მიეკარებოდა. ზოგჯერ კი ისეთი მხიარული იყო, თითქოს ყველას უცინისო.

ყველაფერს რასაც გაიგონებდა, რასაც ნახავდა ხმებზე

გადაიღებდა და თავის სტვირს აამღერდა: წყაროს ჩუხჩუხს, მოლაღურის სტვენას, ფოთლების შრიალს. ბოლოს ისე გაიწურთნა, რომ თავის საკრავზე გამოჰყვანდა დედის ტკბილი სიტყვები, მამის სასტიკი ხმა და თავისი უნუგეშო მდგომარეობა, როდესაც მას მასხარათ იგდებდენ, როგორც ჭკუაზე შეშლილს.

როდესაც ის ტყეში დახეტიალობდა თავისი საკრავით, თითქოს მის დაკვრას ბანს აძლევდენ ფრინველები, ხეების ფოთლები, ყვავილები, წყაროები. როდესაც ამ დროს დედის თვალებზე დაინახავდა ცრემლებს — იცოდა, რომ ისიც გრძნობს ამის დაკვრით სიამოვნებას.

ზოგჯერ თითონაც ეგონა, რომ გიჟი ვარო, მაგრამ ეს აზრი ერთ წამს ელვასავით გაჰკრავდა და მოჰყვებოდა თუ არა დაკვრას ყველაფერი მიავიწყდებოდა.

— მხოლოთ ჩემ სოფელში არა აქვს ფასი ჩემ სტვირს, ფიქრობდა ხშირათ ყმაწვილი, — შორიდან მოსულს, რომელსაც არ გაუგონია პიერის სალამური, ან მოხუცებული მასწავლებელის სკრიპკაზე დაკვრა — იქნება ძალიანაც მოეწონოს ჩემი სტვირი.

ყმაწვილს იმედი მიეცა, როდესაც ერთხელ ზაფხულში ამათ სოფელში მოვიდენ ორი მოგზაური. ისინი დადიოდენ და ყველგან სოფლებში ხმების კილოებს ნოტებზე სწერდნენ. იმათ მიმართეს პასტორს და უფრო მასწავლებელ ქალს, ამათ უნდა ეჩვენებინათ ვინ იცის ნამდვილი ხალხური ხმები და მუსიკა.

მასწავლებელ ქალმა მაშინვე მიუთითა ორ განთქმულ მემუსიკეზე — მოხუცებულ მასწავლებელზე, ჩამომავლობით ნამდვილ გლეხზე, რომელიც სამ სიმზე თუმცა, უვარგისოთ და უსწორეთ, უკრავდა, მაგრამ მისი აზრით, სწორეთ ამაში გამოიხატებოდა ხალხის გულის ნადები. მეორე იყო თერძი პიერი, რომელმაც თვით ხალხში გაგონილი ხმები სალამურზე გადმოიღო.

ამ ყმაწვილზე მასწავლებელ ქალმა რასაკვირველია კრინტიც არ დასძრა, განა ღირდა ლაპარაკი ქუჩის ბიჭზე, რომელსაც მთელი დღეობით სტვირი პირში ეჭირა დი ისე დახეტიალობდა.

მგზავრებმა ამ ორ დამკვრელებს ჟურნალ-გაზეთებში დიდი ქება-დიდება შეასხეს.

ყმაწვილს ამ მგზავრების იმედიც დაეკარგა. ის მაშინ მთებში მწყემსდა ძროხებს და იმითი ერთობოდა, რომ ფრინველების შესაქცევათ სტვირზე უკრავდა.

მაგრამ, როდესაც დადგა შემოდგომა, ის ისევ სოფელში ჩამოვიდა და ძველებურათ ყმაწვილები მოსვენებას არ აძლევდენ, დასცინოდენ და ქვებს ესროდენ. პასტორი მუდამ არიგებდა მას, მოხუცი მასწავლებელი ტუქსავდა, მასწავლებელი ქალი მასხარათ იგდებდა, მამა ბუზღუნებდა, სოფლის გოგოები იკრიჭებოდენ და ყველა ყვიროდა: აი, სულელი მოდის თავისი სტვირით!

ყმაწვილმა ველარ გაუძლო ამ ვაგლახს.

ერთხელ მან წარბები მრისხანეთ შეიკრა და ისე დაუსტვინა, რომ ყბები გაებერა, როგორც ხომალდის იალქანი. ამ დროს გარეთაც საშინელი ქარი ჰქროდა, ხეებს ფოთლები სცვიოდა და ისეთი შრიალი გაჰქონდა, თითქოს რომელიმე გარეული ფრინველის გუნდი მიფრინავსო.

პასტორის სახლში ფანჯრების ყველა დარაბები დახურული იყო. ოთახში სინათლე და საამო სითბო ტრიალებდა. პასტორის მეუღლემ მოუმზადა ფუნჯი, ორივენი ისხდენ და კარტს თამაშობდენ. პასტორი კაი გუნებაზე იყო, იგებდა. უცბათ შემოესმათ საშინელი ხმაურობა.

ყმაწვილი ისე უსტვენდა, თითქოს მძაფრი ქარიშხალიაო. მის სტვირს გაჰქონდა ზრიალი, კვნესა, მუქარა...

პასტორს კარტი ხელიდან გაუვარდა.

— ღმერთო, შენ მადლს, გადაგვარჩინე! წამოიყვირა მან. ეს ხმა მკვდრებსაც კი ააყენებს საფლავიდან. სწორეთ განსაცდელის დღე დაგვიდგა.

თან და თან მატულობდა ღრიალი, ზრიალი, კვნესა...

— კარტის თამაშობას თავი უნდა დავანებოთ, წამოიძახა პასტორმა,—საძაგელი საქმე გვემართება!

პასტორი წავიდა შორეულ ოთახში, მაგრამ იქაც ყურებ დაცობილი იჯდა, ისეთი საშინელი სტვენა-ღრიალი იდგა, თითქოს ეს ეს არი ქვეყანა დაინგრევაო.

ყმაწვილი განშორდა პასტორის სახლს და სწრაფათ

გაეშურა მოხუცებული მასწავლებლის ბინისკენ. იქ სულ სხვანაირათ მოჰყვა სტვენას. მოხუცს თვლემდა, მის გვერდით სამი სოფლის ბიჭი წიგნს კითხულობდენ. ხან და ხან ის თვალებს აახელდა, რომ ბავშვებისთვის მუშტები ჩაერტყა.

ამ საშინელმა, მოულოდნელმა ხმამ მოხუცებული შეათრთოლა, შეაძრწუნა. მან ყური დაუგდო. ისეთი ხმაურობა მოისმოდა, თითქოს ყველა, ვინც კი როდისმე მისი შაგირდი ყოფილა და უგემიათ მისი ცემა-ტყეპა, შეყრილიყვენ და თავიანთი ღრიალ-ზრიალით უნდოდათ ჯავრი ამოეყარათ. ფანჯრებს ზარზარი გაჰქონდათ.

მოხუცმა დახურა წიგნი და აღშფოთებულმა წამოიძახა:

— გეყოფათ სწავლა!—ისეთი საშინელი ხმაურობაა, რომ ერთმანეთს ვერას გავაგონებთ.

შაგირდები გამოვიდენ სახლიდან, აქეთ-იქით გაიხედეს, მაგრამ დამკვრელის ხსენებაც კი აღარსად იყო.

ყმაწვილი გაიქცა ახლა იმ სახლის წინ, საცა ხალხი საცეკვაოთ მოგროვილი ელოდა პიერის დაკვრას. პიერი მოჰყვა სულ ახალ ხმაზე დაკვრას. ყმაწვილი არ ჩამორჩა უკან, იმ ხმასვე უკრავდა თავის სტვირზე, ხოლო ცოტა დაბალ ანგზე.

პიერს ვერ გაეგო, რატომ ასე უცნაურათ მოისმის მისი სალამურის ხმა და წითლდებოდა, ფ'შვინავდა, თვალებს აჭყეტდა და ლოყებს ბერავდა ჰაერში ასაშვებ ბურთივით.

— რა დაგემართა დღეს! რანაირად უკრავ! უყვიროდენ ქალები.

პიერი მთლათ ირეოდა, უფრო და უფრო ბერავდა ლოყებს. ყმაწვილი კაცები მოჰყვენ სიცილს. ის გალურჯდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ლოყებთან ერთად იბერებოდა მისი ალისფერი აბრეშუმის ხელთსახოცი და ის ნამდვილ წითელ ბიბილოიან მამალს მიეგვანებოდა. საბრალო ბოდიშს იხდიდა:

— რა ვქნა, მე ჩვეულებრივ ვუკრავ და არ ვიცი რა დაემართა ამ სალამურს. ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა და სალამური გადისროლა. ხოლო მაშინ სტვირის ხმაც შორეულ ტყიდან მოისმა.

პატარა ხანს შემდეგ ყმაწვილი გაჩერდა მასწავლებელი

ქალის სახლის წინ. ქალი სწორეთ ამ დროს სწერდა სახალხო მუსიკის მნიშვნელობაზე.

მის ფანჯრებთან ერთბაშათ გაისმა გრიალი. თითქოს აუარებელი მემუსიკენი უკრავენო, ქალი შეხტა და დაიკივლა.

— რა ამბავია? ეს რა მესმის? შეჰყვირა მან — თითქოს ამ გრიალში ხალხური ანგები მომესმის.

ყმაწვილმა უფრო და უფრო აახმაურა თავისი სტვირი. ამ ხმებში მოისმოდა სიხარულიც, სიცილიც, კვნესა-ზუზუნიც, დარდი და ნაღველიც

ქალი ველარ გაჩერდა. — უნდა ერთი წავიდე, შევიტყო რა ამბავია! დაიძახა და სახლიდან გამოვარდა. მან თვალი მოჰკრა, რომ ვილამაც გაჰკურცხლა ტყისაკენ და გამოუდგა მას.

ქარი საშინლათ ჰქროდა, ზუზუნებდა, გლეჯდა არე-მარეს.

მესტვირე ბუჩქებ ქვეშ მიმალული, რაც ძალი ჰქონდა უსტვენდა და არაკრაკებდა. მასწავლებელი ქალი ბუჩქებისკენ გაეშურა, მაგრამ ხმა ახლა ხეების იქით მოისმოდა. ქალი მერე იქითკენ გაექანა.

ყმაწვილი ქალზე მარდი გამოდგა და მეტათ უცნაური ხმები ქალს ახლა სულ სხვა მხრიდან შემოესმა. თუმცა სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ თავისას არ იშლიდა და იქითკენ გაიქცა. ის ხან ქვებზე წაიქცეოდა, ხან გუბეებში ჩავარდებოდა. სტვირის ხმა კი თან-და-თან შორიდან მოესმოდა. მერე ხმა მიწყდა, მიჩუმდა.

დაქანცული ქალი მიწაზე დაეშვა, დასახიჩრებული მუხლი დაისრისა, მერე წამოდგა და დაღონებული, კოჭლობით სახლში დაბრუნდა.

ყმაწვილი საღამო ჟამს მხიარულათ დაბრუნდა თავის სახლში. ლოყები ასწითლებოდა, ტუჩები უღიმოდა და თვალები უბრწყინავდა.

— ნეტავი, რამ გაგახარა? — დაეკითხა დედა.

— მე იმათ ყველას ისეთი სეირი უჩვენე, რომ დიდ ხანს არ დაავიწყდებათ, უპასუხა შვილმა.

— მოიკრიფე ჭკუა, შვილო, დროა ხელობას დაადგე! უთხრა მამამ.

— ერთს კიდევ დაუკრავ, მამა ჩემო, და მშვიდობით... შენ და დედა ჩემი უნდა ერთი კარგათ, ძველებურათ, გაცეკვაოთ.

და ყმაწვილმა მომართა თავისი სტვირი.

— რა დროს ცეკვაა! უპასუხა მამამ, — შენ გგონია მაგისთვის ვცალიან! ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, მუდამ ვიმუშაოთ.

ყმაწვილი მოჰყვა დაკვრას, უკრავდა სწორეთ იმ ვალსს, რომლის ხმაზე პირველათ ახალი დანიშნულები მისი დედ-მამა ცეკვამდენ.

მოისმოდა ხან მხიარული, ხან ნაღვლიანი ანგები. თითქოს ზაფხულის სიომ დაჰბერაო, თითქოს არყის ხის სუნი მოისმოდა. აი ვარსკვლავიც გამოჩნდა ზაფხულის მოწმენდილ ცაზე...

ტკბილი სასიამოვნო მოგონება იზიდავდა ამ მოხუცებულებს და ოცნებებით ავსებდა მათ გულს. ლარსმა გადააგდო ჩექმა, ანნამ საწველი ქოთანი მიდგა განზე და მოხუცებულებმა გაუწვდინეს ერთმანერთს ხელი და დაიწყეს ცეკვა. თავდაპირველათ გაუბედავათ, ოხერხულათ და წყნარათ, მაგრამ აღტაცებულმა დაკვრამ თანდათან გაამხნევა, ააღფრთოვანა ესენი.

— მე თვრამეტი წლისა ვარ, იძახოდა ანნა.

— მე კი ოცისა, მხოლოდ ოცისა, ყვიროდა ლარსი — შენ ჩემი დანიშნული ხარ და მთელი სიცოცხლე ვიცეკვამ შენთან.

— ჩემ სიცოცხლეში ჯერ ასეთი ბედნიერი არა ვყოფილვარ, ამბობდა ანნა და ქარივით დაჰქროდა.

— ჩემ სიცოცხლეში არც მე ვყოფილვარ ასე მხიარული და ყოჩაღი! იძახოდა ლარსი და ისე ცეკვამდა, რომ ფეხებს ჭერს არტყამდა.

— ახლა კი მშვიდობით! სთქვა ყმაწვილმა, — მინდა წავიდე და თავისუფლათ მოვიარო ქვეყნები და ჩემი სტვირი — სალამური ყველას გავაგონო და ფულიც ვიშოვო.

და ის იყო და ის. ყმაწვილი მოშორდა სოფელს და წავიდა ცხოვრების გზის გასაკვლევათ.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)

მეცნიერების ერთი მსხვერპლთაგანი

(სქოტტი).

დედა-მიწის ორივე პოლიუსი აქამდის გარემოცულია საიდუმლოებით. ამ საიდუმლოების გამოკვლევა დიდი ხანია იზიდავდა და დღესაც იზიდავს მეცნიერებს.

ბევრ მკლევარს ძვირათ დაუჯდა ამ საიდუმლოების გამოცნობა. ბევრმა მათგანმა განუტევეს საუკუნოთ სული და იპოვეს სამარე იქაურ მუდმივი თოვლის ქვეშ—მრავალი მოგზაურები დაიღუპენ ჩრდილოეთის ყინულიან ზღვებში.

ჩრდილოეთის ზღვების გამოკვლევა ბევრათ უფრო ადრე დაიწყეს, ვიდრე სამხრეთისა. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინეთ მოჰყვნენ შორეულ ჩრდილოეთისაკენ მოგზაურობას.

პირველ მოგზაურათ უნდა ჩაითვალოს ასტრონომი და გეოგრაფი პიტეი, თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა. მან პირველათ აღნიშნა პოლიუსის მდებარეობა.

პიტეის დიდი სურვილი ჰქონდა თვითონ დარწმუნებულიყო დედა-მიწის სიმრგვალეში, უნდოდა ეპოვნა მისი პოლიუსი. ამ სურვილით გატაცებული მან განიზრახა მეტათ საშიში მოგზაურობა შორეულ ჩრდილოეთისაკენ. ის ცხოვრობდა ქალ. მარსელში, ხმელთა შუა ზღვის პირათ. აქედან ის გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ და მიაღწია გრენლანდიის ნიპირებს. კაცობრიობის ისტორიაში არ შეიძლება ეს მოგზაურობა რომ არ ჩაითვალოს უდიდეს გმირობათ. მეთექვსმეტე საუკუნეში როცა ზღვით მოგზაურობა ისე განვითარდა, რომ შესაძლო შეიქნა შორს გამგზავრება, მაშინ ბევრმა მამაცმა ახალ გაზრდებმა სცადეს შორეულ ჩრდილოეთ-სამხრეთისაკენ

გამგზავრება. ინგლისის ვაჭრები ცდილობდენ აღმოეჩინათ უმოკლესი გზები ინდოეთისაკენ და ამ მიზნით მიემგზავრებოდენ და ეძებდენ გზებს. ისინი დაჰყვენ ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებს ამერიკისას, ზოგი აზიისას. სრული სამი საუკუნე გავიდა ამ ძებნაში, ბევრი ვაივაგლახი გადახდათ თავს ამ მამაც მოგზაურებს, ბევრნი მათგანი დაიღუპნენ, მაგრამ ბევრმა მათგანმაც ისახელა თავი.

1853 წ. როგორც იქნა იპოვნეს გასავალი გზა ევროპიდან აზიაში. პირველი მათგანი იყო მაკ-კლიურო, მაგრამ ის ისე ჩაემწყვდა ერთ სრუტეში, რომ ორი წელიწადი საშინელ ტანჯვას განიცდიდა, სანამ თავს დააღწევდა. თუმცა გზა ინდოეთისაკენ აღმოჩენილი იყო, მაგრამ ჩრდილოეთისაკენ მოგზაურობა არ შეწყვეტილა. ბევრი ისევ გზას ეძებდა ციმბირის ნაპირებისაკენ, ზოგი მიილტვოდა პოლიუსისაკენ, ამ გვარათ მრავალ მსხვერპლს იწირავდა ეს უცნობი ადგილები.

1897 წ. შვედელი ანდრე გაემგზავრა ჩრდილოეთისაკენ ჰაეროსტატით, მაგრამ ის თავის ამხანაგებით მალე დაიღუპა ჩრდილოეთის ყინულებში.

1906 წ. დანიის მოგზაური მილიუს ერიკსენი სამი ამხანაგით გაემგზავრა, მაგრამ პოლიუსამდე ვერ მიაღწია და გრენლანდიაში დაიღუპა.

უფრო ნაკლები მსხვერპლი შეიწირა სამხრეთის პოლიუსის გამოკვლევამ იმიტომ კი არა, რომ საყურადღებოთ არ ითვლებოდეს ეს მხარე და არ იზიდავდეს მგზავრებს, პირიქით მეტათ საგულისხმოა ეს ადგილები. მაგრამ ამასთანავე მეტათ საძნელო შეიქნა მიუვალ ყინულის სამეფოში შესვლა. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის მოგზაურები მხოლოთ უვლიდენ სამხრეთის ნაპირებს. 1898 წ. იწყება სამეცნიერო მოგზაურობა ამ მხარეში და კიდეც გვირგვინდება პოლიუსის აღმოჩენით. ადამიანმა სძლია ყოველგვარ სიძნელეს, რომელიც ადრე უძლეველათ ითვლებოდა. იაფათ არ დაუჯდათ ეს გამარჯვება. ახალი აღმოჩენამ დააჩრდილა დიდი მწუხარება—უკანასკნელნი მოგზაურნი—მამაცი გმირი სკოტტი და მისი ამხანაგები—შეიქნენ მსხვერპლი ამ მოგზაურობისა. ახალი ზელანდიის ქალაქ ომარიდან ტელეგრამამ გვაცნობა, ამბავი, რომ სკოტტი თავის ამხანაგებით დაიღუპა სამხრეთის

პოლიუსის ყინულიან ქვეყანაში; ამ სკოტტის სიკვდილით მეცნიერებამ დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო მკვლევარი, გამოცდილი მოგზაური, რომელმაც თავის აღმოჩენა-გამოკვლევით მსოფლიო ყურადღება დაიმსახურა.

კაპიტანი სკოტტი გაემგზავრა სამხრეთ პოლიუსისაკენ, 29 გიორგობისთვეს 1910 წ. იმ აზრით, რომ უნდა აღმოეჩინა სამხრეთის პოლიუსის მდებარეობა, მაგრამ ეს პოლიუსი უკვე აღმოჩენილი იყო ნორმანდიის მოგზაურისაგან ამუნდსენისაგან, რომელმაც სულ ორი თვით ამაზე ადრე მივიდა იქ და კიდეც მოასწრო სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. სკოტტმა უფრო გვიან მიაღწია პოლიუსამდე და უკან დაბრუნების დროს მსხვერპლათ შეეწირა თავის მამაცობას.

ორჯერ გაემგზავრა სკოტტი პოლიუსისაკენ. პირველათ 1901—1904 წ. მან. მოისურვა გამოეკვლია კარგათ სამხრეთის ზღვა როსსა და მის ახლო მდებარე ადგილები. ზამთარი მან გაატარა თავის გემში ერთ ნავთსადგურში, ზაფხულში 1902—1903 წ. ის შეუდგა ამ ადგილების კვლევას, ამ დროს მან აღმოაჩინა სრულიად უცნობი ქვეყანა და უწო-

და სახელათ ინგლისის მეფის ედუარდ VII სახელი. მეორე ზამთარიც მან დაჰყო ამ ადგილების კვლევაში, უნდოდა გაზაფხულზე პოლიუსისაკენ გამგზავრება, მაგრამ მის საძებნელათ გამოგზავნილი გემი მოვიდა ინგლისიდან და უბრძანა ძალაუნებურათ უკან დაბრუნებულიყო. ძრიელ გულ დაწყვეტილი დაბრუნდა სკოტტი სამშობლოში, მაგრამ მას პოლიუსის აღმოჩენის იმედი არ დაჰკარგვია.

სკოტტმა დიდი განძი შესძინა მეცნიერებას გეოლოგიის და ზოოლოგიის კოლექციების მოგროვებით, აგრეთვე სხვა მრავალი აღმოჩენით. ამ აღმოჩენამ გზა გაუკაფა და გაუადვილა: პოლიუსისაკენ ამუნდსენს და სხვა მოგზაურებს.

სკოტტი 1910 წ. მდიდარი ინგლისელი კაცების დახმარებით გაემგზავრა სამხრეთისაკენ გემით „ტერრა ნოვა“.

ის გავიდა ახალი ზელანდიიდან, დაიზამთრა ისევ იმ ნავთ სადგურში, სადაც 1903 წ. გაატარა ზამთარი. ზაფხულში 1911 წ. სკოტტმა გაჰყო მოგზაურები ორ ბანაკათ. ერთი გაემგზავრა გემით სკოტტის მიერ აღმოჩენილ ხმელეთისაკენ (ედუარდ VII), რომლის ნაპირები უნდა გამოეკვლიათ; მეორე კი თვით სკოტტის მეთაურობით გაემგზავრა პოლიუსისაკენ. სწორეთ ამავე დროს, ხოლო მეორე გზით, პოლიუსისაკენ მოდიოდა მეორე მკვლევარის ამუნდსენის ეკსპედიცია, რომელმაც, როგორც ვსთქვით, აღმოაჩინა პოლიუსი და კიდეც დაბრუნდა მშვიდობით სამშობლოში 1911 წ. დეკემბერში.

სკოტტი უფრო გვიან გაემგზავრა და ამისათვის გვიანაც მიაღწია პოლიუსს.

დაწვრილებითი ცნობები სკოტტის და მისი ამხანაგების ასე საშინლათ დაღუპვისა ახალ ზელანდიიდან მივიღეთ, მასთან ერთათ მივიღეთ სკოტტის ,,მიმართვა საზოგადოებისადმი''. ეს მიმართვა მას დაუწერია ოთხი დღის წინ თავის სიკვდილისა. დაღუპვას ის წინდაწინვე მოელოდა. შემაძრწუნებელი შინაარსისა არის ეს მიმართვა; ღრმა პატივის ცემის ღირსნი არიან ის უშიშარნი გმირები. ქვევით ვრცლათ მოვიყვანთ წერილის შინაარსს.

ახლა კი, როგორც გადმოგვცემენ სიკვდილს აცდენილნი თანამგზავრები, სკოტტის საქმე ამნაირათ ყოფილა:

კაპიტანი სკოტტი ოთხი თანამგზავრით მოშორებია ამ-ხანაგებს 1911 წ. 2 გიორგობისთვეს, მას დაუბარებია, რომ მარტში 1912 წ. უსათუოთ უკან დავბრუნდებითო. გავიდა დრო, დადგა სამხრეთის დაუსრულებელი ღამეები, სკოტტი არ დაბრუნდა. ამხანაგებმა დაჰკარგეს იმედი მისი დაბრუნ-ებისა და გაუდგენ საძებნელათ. 12 გიორგობისთვეს, 1912 წ. რის ვაი ვაგლახით იპოვნეს თოვლით დაფარულ კარავში გა-

ყინული სკოტტი, ექიმი ვილსონი და ლეიტენან-ტი ბოუერსი. ორი ამხა-ნაგი მათი: ევანსი და კაპიტანი ოატსი იქ არა ნახეს. გაყინულ სკოტ-ტის გვამთან იპოვნეს მისი დღიური, ვილსონ-თან—მისი რვეული, სა-დაც ის აგვიწერს მთლათ მოგზაურობას პოლიუ-სამდე და უკან დაბრუ-ნებას. სკოტტის დღიუ-რის უკანასკნელ ფურ-ცლებზე მოთავსებულია მისი „მიმართვა საზო-გადოებისადმი". სკოტ-ტი იჯდა ზურგით მი-ყრდომილი კარვის ბოძ-ზე, ბოძსა და მის თავს შუა დღიური იდვა, ეტ-ყობა სკოტტს იმისთვის დაედვა ბოძსა და თავს შუა სქელი რვეუ-ლი, რომ ცოტათი მაინც შეემაგრებინა თავი, დღიურის სქელ ყდაზე, ვიდრე მრგვალ ბოძზე. ორი სკოტტის ამხანაგი ჩამძ-ვრალიყვენ ტომრებში, რომლებიც ლოგინის მაგიერობას უწევდენ და იქ მისცემოდენ საუკუნო ძილს.

სკოტტის დღიურიდან სჩანს, რომ მან მშვიდობით მიაღ-წია პოლიუსს 18 იანვარს 1912 წ. სადაც მას ენახავს ამუნ-დსენის კარავი და აღმოჩენილი პოლიუსის მდებარეობის ნი-შანი.

სკოტტი რომ უკან ბრუნდებოდა თურმე საშინელი ქარ-ბუქი ავარდნილა გზაში, ყინვა უზომო ყოფილა და მგზავ-

რები აუტანელ ტანჯვას განიცდიდენ. გზაში ორი ამხანაგი დაჰკარგეს. ერთი მათგანი ყინულის მთიდან ჩამოვარდა, ტვინი შეერყა და გზაში მოკვდა: მეორეც ავათ გახდა, ველარ შესძლო ამხანაგებთან სიარული, ხედავდა რომ მათაც აბრკოლებდა და ღამის წყვდიადში ქარ-ბუქში შეიმალა, ერთი კი დაიძახა თურმე: „მშვიდობით, ამხანაგებო, გშორდებით, ნუ მეძებთო“ და შთანთქა თოვლის ოკეანემ. მისი მოძებნა აღარ შეიძლებოდა, მან გმირულათ აასრულა მოვალეობა ამხანაგებისადმი —არ გაუხდა მათ, უიმისოთ დასუსტებულებს, მეტ ბარგათ. ამხანაგის უბედურებამ მაინც ვერ იხსნა დანარჩენები სიკვდილისაგან. 29 მარტს, 1912 წ. საშინელმა ქარ-ბუქმა მოგზაურებს გამოუცია უკანასკნელი ძალ-ღონე. გამოელიათ სურსათი, აღარც გასათბობი რამე ჰქონდათ, მოგზაურობის გაგრძელება ამ საშინელი აუტანელი ამინდის გამო შეუძლებელი შეიქნა, გაჩერდნენ ერთ ადგილას და გაიყინენ თავიანთ კარავში. მხოლოთ სულ ცოტა მანძილი ჰქონდათ გასავლელი, რომ სურსათის საწყობთან მიეღწიათ, მაგრამ ველარ შესძლეს და შიმშილმა და ყინვამ მოუღო მათ ბოლო. ერთი ნამცეცი პურიც ვერ იპოვნეს იმ უბედური ხალხის კარავში.

აი რას სწერს სკოტტი თავის დღიურში, რომელიც დაწერილია 1912 წ. 25 მარტს, აქედან შევიტყობთ მათი დაღუპვის მიზეზს. აი ეს გულს შემაძრწუნებელი წერილი:

— უბედურება გამოიწვია არა თუ ჩემმა შეცდომამ ან წინდაუხედაობამ-მოუსაზრებლობამ, არამედ ზოგიერთმა მოულოდნელმა შემთხვევებმა. ურომლისოთაც არც ერთი მოგზაურობა არ თავდება. მარტში ჩვენ დავკარგეთ პატარა ცხენები, (пони), ამის გამო იძულებული შევიქენით ჩვენ თვითონ გვეზიდა მარხილები, უნდა შეგვემცირებინა ბარგი, მიგვეტოებინა სურსათი, რადგან ბევრის თრევა არ შეგვეძლო. გარდა ამისა მოძრაობას მეტათ გვიძნელებდა ძრიელი პირ-ქარი. ყოველი დაბრკოლებანი ვ‹ლიეთ, მხოლოთ გვაწუხებდა მეტათ სურსათის გამოლევა, მაგრამ ვგონებ ამასაც დავძლევდით, რომ გზაში ჩვენი ამხანაგების სიკვდილს არ შევეჩერებინეთ. ამ შეჩერებამ გამოიწვია, როგორცა ვწერდი ზევით, სურსათის გამოლევა, ჩვენი დაღუპვაც ამას მოჰყვა. ამას უნდა დაუმატოთ აუტანელი, დიდი ყინვები, რომლის სიძლიერე აღემატებოდა

47⁰. არა მგონია, რომ ვინმე სხვა მოგზაურს მშვიდობით დაბრუნებულს გამოეცადოს ასეთი საშინელი ტანჯვა, როგორიც ჩვენ გამოვცადეთ. ამაზე უარესი უბედურების წარმოდგენაც შეუძლებელია. ხოლო თერთმეტი მილის სიშორეზე ჩვენ გვეგულებოდა ორი-სამი დღის საკმაო სურსათი, გასათბობი მასალაც, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო დავძრულვიყავით ადგილიდან ოთხი-ხუთი დღე პირ-ქარის მიზეზით და საშინელი ყინვის წყალობით. ჩვენ დავსუსტდით, წერა გვიჭირს, მაგრამ რაც შემეხება მე, თამამათ ვაღიარებ, რომ არ ვნანობ, არ ვწუხვარ, რომ ამ დღეში ჩავარდი, რადგან ვიცი, ჩვენი მდგომარეობა უჩვენებს მთელ ქვეყნიერობას, რომ ინგლისელს შეუძლიან გმირულათ აიტანოს ბედის უკულმართობა, შეუძლიან თავი შესწიროს ამხანაგს და ამაყათ დაუხვდეს სიკვდილს, როგორც ჩვენი წინაპარნი დაუხვდებოდენ უძველეს დროს. ჩვენ კარგათ ვიცოდით რა სახიფათო გზას ვადგივართ, გვესმოდა რომ ჩვენს თავს მსხვერპლათ ვდებდით; ბედმა გვიმტყუნა, უბედური შემთხვევები ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდენ, ნება არა გვაქს ესაყვედუროთ ჩვენ ხვედრს, პირ იქით, ქედს ვიხრით განგების წინაშე.

„ჩვენ, როგორც მსხვერპლნი სამეცნიერო მოგზაურობისა, რომელიც იყო გამოწვეული სამშობლოს სადიდებლათ, მოგმართავთ ჩვენს თანამემამულეებს უკანასკნელი თხოვნით—შეეწიოთ ჩვენს დაობლებულ ოჯახებს.

„მე რომ ისეთი ბედნიერი ვყოფილიყავ და ცოცხალი დავბრუნებულიყავი სამშობლოში ჩემი ამხანაგების გმირობაზე ბევრს, ძრიელ ბევრს გიამბობდით. ეს ამბავი გულის სილრმემდის ჩასწვდებოდა თითეულ ინგლისელს, მაგრამ ეხლა, დეე ამ მოკლე ცნობებმა და ჩვენმა უსულო გვამებმა დაასრულონ ჩვენი მწუხარე თავგადასავალი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მდიდარი სამშობლო იზრუნებს და უმწეოთ არ დასტოვებს ჩვენს ოჯახებს“.

რ. სკოტტი, 25 მარ. 1912 წ.

ეს არის უკანასკნელი ანდერძი სკოტტისა. თქვენ, ყმაწვილებო, ცხადათ დაინახავთ რა სიმამაცით სავსე იყო დალუპვილების გული, და ძალაუნებურათ ქედს მოიხრით მათი გულადობის წინაშე.—ცხადია გმირი სკოტტის სურვილი შე-

სრულებული იქნება. მათ შვილებს ინგლისის მთავრობა თავს იდებს და მფარველობას არ მოაკლებს, მათ შვილებს მიეცემა სახელათ ახლა „ინგლისის ბავშვები“. — ლორდ მერმა გამოაცხადა ხელის მოწერა დაღუპულების ოჯახების სასარგებლოთ და აღარ ბელი შემოწირულება აქამდინაც შემოდის.

მართალია დაიღუპა სკოტტი, მაგრამ ეს მოგზაურობა მეცნიერულ ნიშვნელობით საუკეთესო მოგზაურობათ ჩაითვლება. მრავალი გამოკვლევანი, მრავალი კოლექციები ზოოლოგიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის გასამდიდრებლათ და შესავსებლათ შესძინა ამ მოგზაურობამ. აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ სკოტტი და მისი ამხანაგები, მაგრამ იმ გარემოებაშიც კი თავს არ ანებებდენ დღიურის წერას; მათ კარავში ნაწერებთან ერთად იპოვნეს 35 გირვანქა გეოლოგიური ნიმუშები სკოტტის შეგროვილი, ეს ნიმუშები ძვირფას განძათ ჩაითვლება მეცნიერებთათვის.

მათი გვამი დაასაფლავეს იქ, სადაც იპოვნეს და დაადგეს ჯვარი, ჯვარივე დაასვეს იმ ადგილას, სადაც დაიღუპა კაპიტანი ოატსი, რომლის გვამი, თუმც ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერ იპოვნეს.

სკოტტი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო (დაიბადა 1868 წ.), მსახურებდა მეზღვაურათ ბრიტანიის ფლოტში, სამსახურში დიდი წარჩინება მოელოდა, მაგრამ არ ინდომა და მოგზაურობას შეუდგა. დიდი ხანი არ არის რაც დაქორწინდა იგი ერთ მხატვარ ქალზე, გამგზავრების წინ შეეძინა ვაჟი. როცა ვაჟი ორი წლისა შეიქნა, დედამ შვილის სურათი გაუგზავნა ქმარს, ეგონა დაბრუნებულს მამას გზაში გაახარებდა, მაგრამ სკოტტი არ ეღირსა შვილის სურათის ნახვას.

კაპიტანი ოატსი, რომელმაც უშიშრათ თავი მისცა სიკვდილს, ოღონდ თავის ა ხანაგებისათვის შეემსუბუქებინა უბედური მგზავრობა, იყო უშიშარი მეომარი ბურებთან ომის დროს. იქაც ისე თამამათ უცქეროდა სიკვდილს და უშიშრობას იჩენდა. უყვარდა სხვა და სხვა შემთხვევები და ამან შეაერთა ის სკოტტის ექსპედიციას შორეულ ქვეყნებში წასასვლელათ.

ექიმი ვილსონი ორჯელვე მოგზაურობდა სკოტტთან, ის

მისი განუყრელი მეგობარი იყო და მასთანვე ერთად მოკვდა. ის იყო ჩინებული მხატვარი და მრავალი სურათები დასტოვა შორეულ ქვეყნებში მოგზაურობის დროს დახატული.

ამ ზაფხულს ინგლისის მთავრობა ფიქრობს გაგზავნოს ექსპედიცია, სწორეთ იმ ადგილს, სადაც დაიღუპა სკოტტი —ძეგლის დასადგმელათ შემდეგი წარწერით: აქ მარხიან დახოცილნი, სამხრეთის პოლიუსიდან მომავალნი 1912 წ. მარტში. მუდამ კვლევა, ბრძოლა, პოვნა და არას დროს დათმობა. აი ეს იყო მათი სიცოცხლის მიზანი.

იტა.

(შედგენილი).



მტკვრის სათავე, ჯოროხი და თამარ მეფე.

მგზავრის დღიურიდან.

(შემდეგი).

ესასობაში შებინდდა კიდეც, მზემ თავისი შუქი-სინათლე მთვარეს გადასცა—„შენ ხომ დედა-მიწის თანამგზავრი ხარ და კარგათ გაუნათეო“...

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა ზედ მოეფინა“ მთა-გორათა ჩაბმულ ფერხულს—ამ ქვა-ყრილას სამეფოს. მთვარის შუქის სინაზით გალალებული ბუნება თვლემას მიეცა, რაც კი დღისით, მზისით ხმაურობდა ყოველივე მიყუჩდა, ძილსა და მოსვენებას ეშურებოდა. ჰაერიც-კი თითქოს არ ირხეოდა—განაბული, გარინდებული ყურს უგდებდა „მარჯნის“ და „მარგალიტის“ წყაროთა ჩხრიალს, რომელნიც ძილის პირს უგალობდენ ღამით მოვლენილს მზის მადლს, მთვარის შარავანდედს. ამ იდილლიას მკაცრათ არღვევდა საშინელი სინამდვილე—ყოვლათ ძრიელი კუჭი და კუჭი. ამოძრავდა ღამ-ღამეობით მონადირე ფრინველი და ყველა მხეცი, ღამის რაინდობით გათქმული. აგერ იზმორებიან, ილვიძებენ, იჩმუჩნებიან—მხრები ლონივრათ შეანძრიეს—ბუნების წიალზე, ყველამ თავისებური მეჯლისი გამართა,—ლონიერი შემოდგომაა და ყველაფერი უხვათ იშოვება.

„მთვარე მაინც თავისას არ იშლიდა, ამ მთის გაფანტულ გაქსაქსულ ჰაერში მართლაც რო კაშკაშებდა. „მე ჯავახეთში რა მიშავდა—**მთვარე იდგა მზესავითაო**“ მართალი უთქვამთ ხალხის მგოსნებს. ჩვენმა ლექტორმა უბის წიგნი ამოიღო და მთვარეზე კითხულობდა. ზოგეხსენებათ ყველა ნამდვილ

ქართველი უეჭველათ პოეტიც არის. გულმა ველარ გაუძლო ჩვენს ლექტორს და „დემონიდან“ დაგვმღერა.

—

— ბატონო! იცით, მოლლა რას მოგახსენებთ?.. დროთი ბინაზე წავიდეთ თორე აქ **სუიყიზი იცის** და ვაი თუ კნიაზებს შეეშინდეთო...

— რას ამბობ დანიელ, ე **სუი-ყიზი** რაღა ჯანდაბაა!?.

— სუი-ყიზი, ბატონო, **წყაროს ქალს** ჰქვიან, ხო გაგიგონიათ **ალი**? წყალში იცის—წყაროებთან და წისქვილებთან უფრო უყვარს...

— მერე ხახამო, მაგ დროული კაცი შენ რაღამ შეგშალა!?. თითქოს ნაკითხი კაცი ვარო და მაგისთანა სისულელე კი გჯერა. ეაგ ყიზი-მიზებს თავი დაანებე და ისა სჯობს ვთხოვოთ თავადს მარგალიტის ცხოვრებაც გვიამბოს...

— მე ჩემს ვალს მოვიხდი, მარგალიტი ჯერ მოგვითმენს, ახლა კი სჯობდა გაგვეგო მაგ სუი-ყიზის ამბავიც. მე კახეთში გაგონილი მაქვს ჩემს ყმაწვილობას, რომ ამა და ამ გვარ გლეხის ოჯახში ალი ჰყვანდათ მოახლეთაო და სხვ. კარგია შევიტყოთ აქაურ ხალხს, როგორ-ღა აქვსთ წარმოდგენილი... ალის და მავნეს არსებობა, ეს სიცრუე ყველა ხალხს სჯერა, სწამს. წარმოიდგინეთ რო შოთა ხო ფილოსოფოსი კაცი იყო, მაგრამ იმის ავთანდილი რო ილოცავს იტყვის: „მტერთა ძლევა, ზღვათა ღელვა, **ღამით მავნე** განმარიდე“.

— კნიაზო, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ—წინ წამოდგა ჯავახელი—აი საქმე როგორ იყო: სოლომონ ბრძენს თურმე მობეზრდა ეშმაკების ოინები. ერთხელ დაიბარა მთელი ხროვა ეშმაკებისა აღსარების სათქმელაო და, ბევრი აღარ აცალა, ასწია და ყველანი ერთს დიდს კიდობანში ჩაყარა, დალურსმა. მერე ჰკითხა ეშმაკებს: რა სასჯელი გირჩევნიათ—ან ამ საათში ცეცხლი უნდა წაგიკიდოთ ან და წყალში გადაგაგდებთო, მხოლოთ იმ პიროობით კი, რომ წყალ გარეთ გამოსვლა არ გაბედოთ, თორემ ვაი თქვენი ბრალიო. ცოცხლათ დაწვას ეშმაკებმა ისევ წყალში ცხოვრება არჩიეს და **ეს** აქეთა **ალები** გაჩნდენ წყარო-მდინარეებში—ყველანი ბროლივით ქალები არიან, თმა კოჭებამდე უწევსთ. მზე რო ჩავა ბინდისას ივარცხნიან თმას, ზოგმაც გათენებისას იცის თავის ვარც-

ხნა, მაგრამ მზე რო ამოვა მაშინათვე გაქრება. თუ ბიჭი ჩაიგდეს ხელში იმდენს ულიტინებენ, აცინებენ რო დილამდე წუთი-სოფელს ესალმება. ვინც სავარცხელს მოჰპარავს ქალიც იმას გაჰყვება ხოლმე.

—

სოლომონ ბრძნის მიერ ეშმაკების დასჯას ჯავახელი გზა და გზა გვიამბობდა. მივედით კიდეც ბინაზე, სადაც რუსეთის სადუღარი დუღილით თავს იკლავდა... ჩინეთის ფოთლის წვენი თითო რო გიახელით, ახლა კი ჩვენმა ლექტორმა შეგვამცნია, რომ მის მიერ დაპირებულ მარგალიტის ამბავს ველოდით. ვთხოვეთ და დაიწყო.

— ვიმეორებ თუმცა ჯერ ლეგენდა სჯობდა გეამბნათ, მაგრამ დეე იყოს მარგალიტი.

„ნამდვილი მარგალიტა ანუ ნიჟარა Melea grina meleagris, ცხოვრობს სპარსეთის ზღვის ყურეში, აგრეთვე დიდს ოკეანოსს და ცეილონის კუნძულის კიდეებთან, ხოლო ამერიკაში პანამისა და მექსიკის ყურეებში, კალიფორნიის ახლოთ. ჩვენში, მეტადრე ქალები, **სადაფს**, სადაფის ნიჟარს ხო ყველა იცნობს...

— მაპატიეთ კნიაზო და ნურც მაგრე უვიცათ ჩაგვთვლით. სადაფით მე თვითონ მივაჭრია. ლამბაქის ოდენა ძვალია, შიგნითა მხარეს სადაფი ელვარებს, ფერადათ პრიალებს. ქალები უწინ ზედ ფერ-ღმარილს ლესავდენ, პირზე ისვამდენ. თავის თავსაც ატყუებდენ და სხვასაც—ლამაზები ვართო. ამასთანავე სადაფით მორთავენ ხოლმე თარს, დაირას, კულას და სხვა. ხარატები კიდე სადაფიდან აკეთებენ ღილებს. რამდენათაც ნიჟარი სქელია, იმდენათ მეტათ ფასობს, რადგან სადაფი მეტი გამოდის...

— ჰო და, დანიელ ბატონო. . ორი სადაფის ლამბაქი (ნიჟარი) ერთმანერთს რო დავხუროთ გამოვა სახლი, **ბაკანი,** რომელშიაც ცხოველი **მარგალიტა** ბუდობს, ცხოვრობს და ლოკოკინასაებ, როცა ღნდა გამოჰყოფს ხოლმე თავს საჭმელსასმელისთვის.

ილ. ალხაზიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ამბავი ერთი კაცის ცხოვრებისა.

(თომას ალვა ედისონი).

ტელეგრაფი და ტელეფონი.

ედისონის შესანიშნავი გამოკვლევები რომ უფრო დაფასდეს უნდა ავღნიშნოთ, რომ ის სწავლულის კანონებზე არ იყო დამყარებული, არამედ პრაკტიკული გამოგონებები იყო.

ის ნიუტონის და ფარადეისავით არ ცდილობს ახალ კანონების აღმოჩენას. არა, მას უნდა მხოლოთ ახალი კანონები ცხოვრებას დაუკავშიროს და რაც გამოსადეგი კანონებია დღიურ ცხოვრებას დაუახლოვოს.

ერთხელ მან შემდეგი სიტყვებით დაახასიათა თავისი ნაყოფიერი მუშაობა: ,,ბევრს სწადია გამომიყვანოს სწავლულათ, მაგრამ სულ ტყუილია. მე არც ერთხელ არ გამომიკვლევია რაიმე ბუნების კანონი და არც გამომიგონია დღემდის არც ერთი კანონი. მე უფრო პრაკტიკაზე მუშაობას ვამყარებ. იქნება მე შედარებით იმ უბრალო ხელოსანთან მიმიჩნიოთ სწავლულ გამომგონებელათ, მაგრამ არც ეგ შედარება გამოდგება, რადგან უბრალო ხელოსანი არ არი ხოლმე მკვლეველი".

ედისონის ღვაწლი მაინც არ მცირდებოდა. იმ კაცს, რომელიც ყველა მეცნიერულ გამოკვლევებს უერთებს ყოველ დღიურ ცხოვრებას, სვინიდის ქვეშ შეუძლიან თქვას, რომ ნაკლები სარგებლობა არ მოაქვს, ვიდრე ოთახში ჩაკეტილ მომუშავე მეცნიერს.

მართალია ედისონს ახალი ბევრი არა გამოუგონია, მაგრამ გაუმჯობესებია კი ბევრი ძველი გამოგონება. რასაც წი-

ნეთ სთვლიდენ უცნაურ მოვლენათ, უმნიშვნელოთ, სათამაშოთ — ახლ ა ხალხის ცხოვრებაში დიდ მნიშვნელოვანათ ითვლება. როგორც ელექტრო-ტეხნიკს ედისონს ვერავინ შეედრება.

თავდაპირველათვე ის გულმოდგინეთ შეუდგა ტელეგრაფის მოწყობის შესწავლას, მისი მიზანი იყო რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა ტელეგრაფს ხალხის ცხოვრებაში.

ტელეგრაფს უფრო იმიტომ მიაქცია ყურადღება, რომ ყველაზე მეტათ იყო ცხოვრებაში გამოსაყენი. მას ხმარობდენ ხშირათ და ყველასთვის საჭირო იყო. მაგრამ ტელეგრაფის გაყვანა ახალ ახალ ადგილებში მეტათ დიდი ფულის დახარჯვას საჭიროობდა.

ყოველ დღიური ცხოვრება თხოულობდა ტელეგრაფს და უნდა ამის საქმე, როგორმე გამოკვლეულიყო.

მაგრამ, როგორ?

ორი გზით შეიძლებოდა ამისი შველა: ერთი მხრივ უნდა ისე გაუემჯობისებინა ედისონს, რომ რამდენიმე ტელეგრამა ერთ და იგივე დროს, ერთივე მავთულის შემწეობით გაეგზავნა. მეორე მხრივ მას უნდა სიჩქარე მოემატებინა ტელეგრაფისთვის.

პირველი საშუალების ასასრულებლათ ედისონი ყმაწვილობიდანვე ფიქრობდა. მართალია პირველმა გამოცდამ ხეირიანათ არ ჩაიარა, მაგრამ მას ერთხელაც არ შეპარვია ეჭვი, რომ ვერ მიაღწევს თავის მიზანს. აქ შეიძლება რომ ვთქვათ: მას არ აკმაყოფილებდა, რომ ერთხელათ ორი ტელეგრამა გაიგზავნოს, მას უნდოდა ოთხივე, ორივ მხრივ ორ ორი. ამ გვარ გადაცემას ტეხნიკურათ უძახოდენ კვადრუპლეკს მანქანას.

მთელი ექვსი წელიწადი თავ აუღებლივ მუშაობდა ედისონი ამ გამოგონებაზე და ბოლოს 1874 წელს აიღო ნება (პატენტი) ეხმარა ეს გამოგონება.

რადგან ამ გვარ მანქანაზე მუშაობა რთული იყო და ცოდნა საჭირო იყო, ედისონმა ამოარჩია რვა კაცი, რომელთაც შეასწავლა ზედმიწევნით ეს საქმე. მათი შემწეობით მან გამართა ეს მანქანა ნიუ-იორკის და ბოსტონის შუა და ამითი საყურადღებო გახადა ეს გზა.

ედისონის ტელეგრაფის გაუმჯობესობამ იქამდის მიაღ-

წია, რომ მან გაასწრო იმ დროის გამოჩენილ ელექტრო-ტეხნიკებს, მაგალითად, ძმებს სიმენსებს, ბერლინში მცხოვრებლებს, რომელნიც რამდენიმე წელიწადს უნაყოფოთ მუშაობდენ. ამერიკის ერთ დიდ საზოგადოებამ გამართა ეს ახალი ტელეგრაფი, რომელიც ყოველ წლივ მილიონ ორასი ათასი მანეთით ნაკლებ უჯდებოდათ.

მაგრამ ედისონის ხასიათს ეს არ შეეფერებოდა, რომ ამითი დაკმაყოფილებულიყო. მან დაიწყო ხელ ახლათ მუშაობა, ყენდოდა რვა ტელეგრამა ერთხელათ ეგზავნა. მას ისეთი ტეხნიკური დაბრკოლებები გადაეღობა წინ, რომ აქამდისაც ვერას გახდა.

მაგრამ ედისონი თუ დროებით გადასდებს საქმეს-ეს იმას არა ნიშნავს, რომ აღარ მოათავებს. იქნება ამ ახალი გამოგონებით ედისონმა უცბათ გააკვიროს მთელი ქვეყანა...

მეორე საქმე, რომელიც ედისონს წინ ედო იმაში მდგომარეობდა, რომ ტელეგრაფის გადაცემა მეტათ აეჩქარებინა. ამაში ედისონმა გაიმარჯვა. მან ისეთი ავტომატიური ტელეგრაფი მოიგონა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა ერთს წუთში ათასი სიტყვა გაეგზავნა ნიუ-იორკიდან ვაშინგტონში, 350 კილომეტრის სიშორეზე.

ამ გვარი სიჩქარით დეპეშების გაგზავნა შემდეგი საშუალებით შეიძლებოდა: დეპეშა, როგორც ყველამ იცის, ჯერ ქაღალდზე გადადის, მერე იწყობს მუშაობას ედისონის ავტომატიური ტელეგრაფი, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან. მანქანის პირველი ნაწილი გახვრეტავს ქაღალდს, ყოველი ნახვრეტი წარმოადგენს თითო ასოს და ამისთანა ასოები ერთ წუთში 50 გადიცემა. მანქანის მეორე ნაწილი დეპეშის გასაგზავნია. ის წარმოადგენს მოგრძო და რგვალს საგანს, ცილინდრს, რომელსაც აქვს ფოლადის შტიფტიკები. ცილინდრი მიგორავს დახვრეტილ ქაღალდზე და ყოველთვის, როდესაც ფოლადის შტიფტიკი შედის დახვრეტილ ქაღალდში ელექტრონი იჩენს ძალას. მანქანის მესამე ნაწილი დეპეშების მისაღები იყო. ისიც შედგებოდა ცილინდრისაგან ფოლადის შტიფტიკებით, რომლის გარშემო ქაღალდი ტრიალებდა. ყოველთვის, როდესაც ელექტრონის ძალა მიეკარებოდა, მისაღები მანქანა უჩვენებდა სწორეთ იმ ნიშანს, რომელიც ქაღალდზე იყო.

ცოტა ხანს შემდეგ ედისონმა უფრო გააღმჯობესა თავი-

სი მანქანა, იგი ახლა ლათინური ასოებით გზავნიდა და მიაღწია იქამდის, რომ სამი მართულის შემწეობით შეიძლებოდა შვიდი ათასი სიტყვის გაგზავნა ერთ წუთში ნიუ-ორკიდან ვაშინგტონში.

ედისონმა კიდევ ბევრი გაუმჯობესება და ახალი გამოგონება შემოიღო.

თუ ამ საქმეს დაუკვირდებით, ვნახავთ, რომ არც ერთი გაუმჯობესება ამ დარგში უედისონოთ არ მომხდარა. მის მოღვაწეობაზე არა ერთი წიგნი დაიწერება. ჩვენ აქ კიდევ ერთ მის ღვაწლს მოვიხსენიებთ: როგორ შემოიღეს დეპეშის გაგზავნ-გამოგზავნა მატარებლის მიმოსვლის დროს.

ჩვენ რომ ვიცით მარკონის უმავთულო ტელეგრამის ამბავი*) არ გაგვიკვირდება, მაგრამ როდესაც ედისონი შეუდგა ამ საქმეს, რომელიც მას მიაჩნდასულ უბრალო საქმეთ —ყველა მისი მახლობელნი, თანაშემწენი ეჭვით უყურებდენ.

ტელეგრაფის მოწყობილობიდან, რომელიც მატარებელზე იყო, ადიოდა ელექტრონის ძალა მაღლა ჰაერში ტელეგრაფის მავთულთან, რომელიც გაჭიმული იყო რკინის გზის სიგრძეზე. თუმცა მეცნიერების თვალით ამაში არაფერი არა ჩვეულებრივი არ იყო, მაგრამ მაინც მატარებლიდან დეპეშების გაგზავნა პრაკტიკული მხრივ დიდათ საყურადღებოა. მატარებელი მიფრინავს ელვისამებრ თვალ გაუწვდენელ უდაბნო ადგილებში; გარშემო არ მოჩანს არც სახლ-კარი, არც ძე ხორციელი. მატარებელში კი ზის არხეინათ რომელიმე გამოჩენილი ამერიკელი მრეწველი და ტელეგრაფის შემწეობით ელაპარაკება თავის გამგეს საქმეებზე.

ედისონის ამ გვარი გამოგონებამ სხვაფრივათაც სარგებლობა მოიტანა. ავაზაკნი, რომელნიც გრძნობდენ თავს უშიშრათ დაიძროდა თუ არა მატარებელი, ხშირათ დატყვევებულნი იყვენ მხოლოთ ორიოდ სიტყვის წყალობით, რომელსაც კონდუქტორი გაქანებული მატარებლიდან დეპეშით აცნობებდა სადგურის უფროსს.

ავრეთვე ხშირათ აუცდენიათ რკინის გზაზე უბედურება, მხოლოთ იმითი, რომ სადგურიდან გაუფრთხილებიათ გზის მემანქანე.

ედისონი აპირებდა ამ გვარათ ტელეგრაფის მოწყობას

*) მარკონზე მოთავსებული იყო 1909 წ. ჯეჯილის აპრილის ნომერი.

გემებზედაც, მაგრამ უმავთულო ტელეგრაფმა დაასწრო და ისეთი დიდი ცვლილება შემოიღო, რომ ძნელი დასაფასებელია.

გარდა ტელეგრაფისა ედისონს ტელეფონის შემოღებაზედაც დიდი ღვაწლი მიუძღვის. 1876 წლამდის ტელეფონი იყო მეცნიერთა დროს გასატარებლათ. ამ წელს კი ედისონის მემამულემ გრენამ ბილლიმ ისე გააუმჯობესა, რომ ტელეფონის ხმარება ყოველ დღიურ მოთხოვნილებისათვის გამოდგებოდა, მაგრამ მხოლოთ ახლო მანძილზე. ტელეფონი ადვილათ იღებდა ხმას და გადაცემით კი შორს ვერ გადასცემდა. რასაკვირველია ამ გვარის ტელეფონი საყოველთაო სახმარებლათ ძნელი გამოსაყენი იყო.

ორი წლის მუყაითი მუშაობის შემდეგ ედისონმა მოახერხა და გააკეთა ისეთი ხმის გადასაცემი მანქანა, რომელიც ძალიან მიეგვანება ახლანდელ ტელეფონს.

მან მიჰყიდა თავისი მანქანა ,,ვესტერნ-იუნიონის'' საზოგადოებას. იმავე დროს ნასყიდი ჰქონდა ბელლევის **გაუმჯობესებული** მანქანა ბოსტონის ერთ საზოგადოებას.

ამ ორ საზოგადოებათა შორის ატყდა ქიშპობა, მეტოქეობა. ბოსტონის საზოგადოება უკეთეს მდგომარეობაში იყო, რადგან მისი ტელეფონი მიიღებდა კიდეც და გზავნიდა კიდეც. ,,ვესტერნ უნიონისა'' კი მხოლოთ კარგა სიშორეზე გზავნიდა.

როდესაც ორივე საზოგადოებამ მოჰფინეს არათუ მთელი ინგლისი, მთელი ევროპაც ამ მანქანებით, მაშინ ამ საზოგადოებების წარმომადგენლებმა მოინდომეს ერთმანერში შეთანხმება, რადგან ორივენი კარგათ იგებდენ ფულს: ბოსტონის საზოგადოებამ მოსთხოვა ორი მესამედი წმინდა შემოსავლისა, რადგან მათი ტელეფონი უფრო სრული და კარგი იყო. როდესაც ედისონმა შეიტყო ესა, მაშინვე ტელეგრამა დაუკრა ,,ვესტერნ უნიონის'' საზოგადოების წარმომადგენელს. ,,სამ კვირას გასტანეთ თქვენი შეთანხმება. ვეცდები მოვიგონო, მოვაწყო და გამოგიგზავნოთ სიტყვების ახალი მისაღები მანქანა, რომელიც უკეთესი იქნება ბელლევის მანქანაზე''.

საზოგადოების წარმომადგენელმა კარგათ იცოდა რომ თუ ედისონი დაჰპირდებოდა რამეს, აასრულებდა კიდეც. მას ჩვეულებათ არ ჰქონდა უბრალოთ თავის გამოდება და ბოსტონის საზოგადოებასთან შეთანხმების საქმე გააგრძელა.

იმ დროს ედისონი მუშაობდა გასახურებელი ლამფის გაკეთებაზე, მან ეს სამუშავო მაშინვე გადასდო და ყველა თავისი ძალ-ღონე მოახმარა ხმების მისაღებ მანქანის გამოგონებას. ერთი კვირის განმავლობაში მან მოიგონა ხმის მისაღები ახალი მანქანა, რომელიც შესახედათ თითქოს სულ უბრალო იყო, მაგრამ ბელლევის მანქანას ერთი ათად აჯობებდა.

მეორე კვირას მან მოამზადა კიდეც რამდენიმე ასი ამ გვარი მანქანა და საჩქაროთ გაგზავნა გემით ინგლისში. მანქანებს გააყოლა თავისი მოხელეები, რომელნიც გზაზე, ოკეანზე გადასვლის დროს ვარჯიშობდენ მანქანებზე.

ყველა ეს ჩვეულებრივი ამერიკული სისწრაფით მოხდა და ბოსტონის „საზოგადოება" დამარცხდა. ცოტა ხანს შემდეგ ბელლევის ტელეფონის ხსენება გაწყდა...

ედისონის ტელეფონზე მუშაობამ გამოიწვია ბევრი სხვა გამოგონებები. მოვიხსენიებთ აქ ზოგიერთს:

ერთი მათგანი იყო მიკროფონი, მეტათ შესანიშნავი. ხმას დიდ ძალას აძლევდა ტელეფონის მართულზე გავლის დროს. საათის ხმა მიკროფონს გადაჰქონდა 200 კილომეტრის სიშორეზე. მიკროფონში რომ ჩაგებერათ ისე მოისმოდა, თითქოს ქარის გრიალიაო. ბუზი რომ გაფრენილიყო გეგონებოდათ მთელმა ჯარის რაზმა გაიარაო.

ედისონმა მიკროფონი მოიხმარა ჰაერის ცვლილების შესატყობათ. ამ გვარი მანქანა ნიშნავდა ერთ მილიონის ნაწილს ფარენგეიტის საზომის ერთ გრადუსისას.

პირველათ მან სცადა თავისი მანქანა მზის დაბნელების დროს შტატ ვოიმანგს, ნიშვნებლივ რეილინგში. მას უნდოდა გამოეცადნა მანქანა, როგორ მიიღებს მზიდან წამოსულ თბილ სხივებს.

როდესაც ედისონი მივიდა იმ მინდორზე, საიდანაც საუკეთესოთ გამოჩნდებოდა მზის დაბნელება ყველა კარგი ადგილები მაყურებლებს დაეჭირათ და ის უნდა მოთავსებულიყო რაღაც დანგრეულ საქათმეში. დიდი ქარი ჰქროდა და საქათმეს აქეთ იქით აქანაებდა, როგორც აღელვებული ზღვა გემს. გამოცდას რომ კარგა ჩაევლო მანქანა უნდა ისე დაემაგრებინა, რომ რყევა არ დაეწყო.

ედისონი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა დაემაგრებინა, მაგრამ საქათმე ისევ ირყეოდა.

ბოლოს რამდენიმე დურგლის შემწეობით მან საქათმე ქარის მხრიდან ფიცრებით და სარებით დაამაგრა. გაათავა თუ არა ეს საქმე მზემაც დაიწყო დაბნელება-

ქარი ისევ ძალოვანათ ჰქრიდა, საქათმე ისევ ქანაობდა და მანქანაც ინძრეოდა. ის იყო ედისონს უნდა მიეტოვე მინდორი და ეკან დაბრუნებულიყო, რომ ეცბათ ქარი ჩავარდა, რამდენიმე წუთს გაგრძელდა მზის დაბნელება და მანქანამ დაიწყო მუშაობა. აღმოჩნდა რომ მზე იძლევა სითბოს ხუთმეტჯერ მეტს, ვიდრე ვარსკვლავი არკტური, რომელსაც ედისონი იკვლევდა წინა ღამეს. მისი გამოგონილი ელექტრონის კალმიდან ჩანს, როგორი დიდი მოხერხებით გამოიყენებდა ედისონი ხოლმე ელექტრონის ძალას ცხოვრებაში.

ერთხელ ვინმე მრეწველმა ნიუ-ორკიდან იჩივლა ედისონთან, რომ მას ბევრი დრო ეკარგება მიწერ-მოწერაზე.

— რატომ არ გამოიგონებთ, უთხრა ედისონს, — ისეთ მანქანას, რომ ჩვენ დრო და შრომა ბევრი არ დავკარგოთ.

— ვეცდები, უპასუხა ამაზე ედისონმა.

მეორეთ რომ შეხვდა ედისონი ამ მრეწველს მან მიართვა კალამი, რომელიც შემდეგი მოწყობილობისა იყო:

კალმის ჩასადები შიგნიდან ცალიერი იყო და შიგ გაყრილი იყო ფოლადის ჯოხი, რომელსაც თავში ელექტრონის მოტორი ჰქონდა და წვეტიანი ბოლოთი თავდებოდა. როდესაც ამ კალამს გაატარებენ ქაღალდზე, წვეტიანი ბოლო დახვრეტამს აუარებელ პატარა ნახვრეტებს ერთი მეორეზე ახლოს, რომ უბრალო თვალით შეხედოთ გეგონებათ ერთიანი ხაზიაო.

ამისთანა ნახვრეტიან ქაღალდის ქვეშ თეთრ ფურცელ ქაღალდს დაუფენენ, ზემოდან წაუსვამენ სითხეს და ჩვენ მივიღებთ სუფთათ და გარკვევით გადაღებულ წერილს.

ამ გვარათ შეიძლება წერილის ათასზე მეტი პირი გადავიღოთ.

ედისონმა ბოლოს ისე გააუმჯობესა ეს კალამი, რომ შეიძლებოდა ორი ათასი პირის გადაღება. თავის დროზე ამ გამოგონებამ ამერიკის ვაჭრებს და მრეწველებს დიდი სარგებლობა ეჩვენა, სანამ არ შემოიღეს ახლანდელი საწერი მანქანები.

(შემდეგი იქნება).